

თავისუფლების აღკვეთის გამოცდილება, ავტობიოგრაფიული მსჯელობა, მნიშვნელობის შექმნა და გენერაციულობა¹

თამარ ჯანანაშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, მარიამ გოგიჩაიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე:

შერეული მეთოდოლოგიით წარმოებული კვლევა მიზნად ისახავს იმის გარკვევას, როგორ ახერხებენ სასჯელალსრულების სისტემიდან გამოსული ადამიანები ახალი ინტეგრირებული იდენტობის ფორმირებას, ახალი მნიშვნელობის შექმნასა და გენერაციულობის, როგორც საზოგადოებაში დაბრუნების ინდიკატორის, მიღწევას. კვლევაში 14 ყოფილი მსჯავრდებული მონაწილეობდა. კვლევის თვისებრივი ნაწილი მოიცავდა ცხოვრების ნარატივების თემატურ და სტრუქტურულ ანალიზს. რაოდენობრივი ანალიზისთვის თითოეული ინტერვიუს ტრანსკრიპტში გადაკოდირდა და გაანალიზდა ისეთი სამიზნე ცვლადები და მათ შორის მიმართებები, როგორცაა ავტობიოგრაფიული მსჯელობა, კოჰერენტულობა, პიროვნული ზრდის ამსახველი სტრუქტურა, მოტივაციური თემები და გენერაციულობა.

საკვანძო სიტყვები: ავტობიოგრაფიული მსჯელობა, საზრისი, გენერაციულობა, ყოფილი მსჯავრდებულები

1. შესავალი

„ჩემი შვილების თვალები და ცრემლები.. არასდროს დამავიწყდება... მოიხედავ და უკვე ცხოვრება მთავრდება. შვილებს საბოლოოდ შეხედავ და იმ პერიოდში მთავრდება შენი ცხოვრება და ყველაზე მეტი კიდე ის... ჭიშკარს რომ გააღებენ და რკინის კარს რომ მოაჯახუნებენ... საერთოდ ყველაფერი წაიშალა ჩემი განვლილი ცხოვრებიდან და გადადიხარ ... ჯოჯოხეთი შემიძლია ვუწოდო იქაურობას.“

ეს ციტატა 57 წლის ქალს ეკუთვნის, რომელმაც ცხოვრების 5 წელი სასჯელალსრულების სისტემაში გაატარა. იგი ამბობს, რომ ეს დრო დაკარგული წლებია, რომელმაც არსებითად იმოქმედა მისი ცხოვრების შემდგომ განვითარებაზე.

ყოფილი მსჯავრდებულების პირად ისტორიებში ხშირად შეხვდებით დანაკარგის ამგვარ განცდას. სასამართლო დარბაზში განაჩენის გამოტანას ისინი ხშირად ადარებენ ცხოვრების შეწყვეტას; მათთვის ამ დროს რაღაც დასრულდა და დაიწყო რაღაც სრულიად ახალი — ჯერ სასჯელის მოხდისა და შემდეგ კი ყოფილი მსჯავრდებულის სტატუსის ეტაპი.

სასჯელალსრულების სისტემაში ყოფნის შემდეგ ადამიანები ახალი გამოწვევის წინაშე დგებიან: მათ უნდა მოახერხონ, რომ კვლავ დაინახონ აზრი საკუთარ ცხოვრებაში. ცხოვრებისთვის აზრის მინიჭების პროცესი, როგორც წესი, ცხოვრების ისტორიის ფორმას იღებს ანუ იქმნება ამბავი საკუთარი თავის შესახებ (McAdams, 1985,

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევით გრანტის ფარგლებში (გრანტის N YS-2016-8).

1993; Sampson & Laub, 1995 ციტირებულია წყაროში Maruna, 2001). ყოფილმა მსჯავრდებულებმა როგორც საკუთარი თავისთვის, ისე — სხვებისთვის უნდა შეძლონ თავიანთი ქაოტური, დევიანტური წარსულიდან ახალი, გარდაქმნილი იდენტობის აგება, რომელშიც ასახული იქნება ის, თუ როგორ მოახერხეს საკუთარი ცხოვრება უკეთესი გზით წაყვანა (Sampson & Laub, 1995). ახალი, პროსოციალური იდენტობის ასაგებად ყოფილმა მსჯავრდებულებმა, პირველ რიგში, საკუთარი კრიმინალური წარსული უნდა გაიაზრონ; გაარკვიონ, რატომ ჩაიდინეს ის, რაც ჩაიდინეს და შემდეგ დაფიქრდნენ, ახლა რითი განსხვავდებიან წარსული მე-სგან.

საზოგადოებისთვის, დამსაქმებლებისთვისა და მნიშვნელოვანი სხვებისთვის ყოფილ მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს დამაჯერებელი ავტობიოგრაფიული ისტორია იმის შესახებ, რომ ის ახლა სხვა ადამიანია, შეიცვალა და „კარგია“. ლიტერატურაში აღწერილ ამასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო სირთულეს ლოფლენდი (Loafland, 1969) „გამიშვლებული იდენტობის საშინელებას“ უწოდებს. როგორც გიდენსი (1991) აღნიშნავს, თანამედროვე საზოგადოებაში პიროვნების იდენტობა არ განისაზღვრება მისი ქცევებით და არც იმით, თუ რა რეაქციები აქვს მას სხვებზე, არამედ იმით, რამდენად ხელეწიფება მას, შექმნას და მისდიოს კონკრეტულ ნარატივს.

სწორედ ეს ხედვა უდევს საფუძვლად ნარატიული იდენტობის მოდელს (McAdams, 1993, 2013, McAdams & McLean, 2013), რომელიც მოცემული კვლევის თეორიულ ჩარჩოს და მეთოდოლოგიურ საყრდენს წარმოადგენს.

ყოფილი მსჯავრდებულების პერსონალურ ნარატივებში ასახული რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის პროცესის სირთულეები ქართულ კულტურაში არ არის ნაკვლევი. წინამდებარე კვლევა ამ მიმართულებით კვლევა-ძიების პირველ მცდელობას წარმოადგენს და მიზნად ისახავს იმის გარკვევას, თუ როგორ ახერხებენ და აღწევენ ყოფილი მსჯავრდებულები პატიმრობის გამოცდილებით „გაწყვეტილი ცხოვრების“ გამთლიანებას, საკუთარი თავის რეინტეგრაციასა და საზოგადოების ფუნქციონირებად წევრად დაბრუნებას.

უშუალოდ კვლევის, გამოყენებული მეთოდისა და მიღებული შედეგების აღწერამდე მიმოხილულია ის ძირითადი ცნებები და თეორიული მოდელები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა წინამდებარე კვლევა, კერძოდ, პერსონალური ნარატივი, ავტობიოგრაფიული მსჯელობა, კოჰერენტულობა, მოტივები, ზრდაზე ორიენტირებული ნარატივი და გენერაციულობა.

1.1. პერსონალური ნარატივი ანუ ნარატიული იდენტობა

ერიკ ერიკსონს ფსიქოსოციალური განვითარების სტადიურ მოდელში შემოაქვს იდენტობის ცნება (McAdams, 2009): მოზარდობის დასაწყისიდან და ადრეულ მოზრდილობაში თანამედროვე ადამიანები მე-ს კონსტრუირების ფსიქოსოციალური ამოცანის წინაშე დგებიან, რომელიც მათ ცხოვრებას ერთიანობას, მიზანსა და შინაარსს სძენს. ამ დროს ცხოვრების მანძილზე პირველად სვამს ადამიანი კითხვებს: „ვინ ვარ მე?“ „როგორ ვერგები მოზრდილთა სამყაროს?“ ერიკსონი თვლის, რომ ამ კითხვებზე პასუხების გაცემისას იმის კონსტრუირებას ვიწყებთ, რასაც იგი კონფიგურაციას უწოდებდა. ის მოიცავს „კონსტიტუციურად მოცემულ, იდიოსინკრაზულ ლიბიდოურ მოთხოვნილებებს, მნიშვნელოვან იდენტიფიკაციებს, ეფექტურ დაცვებს, წარმატებულ სუბლიმაციებსა და კონსისტენტურ როლებს“ (Erikson, 1959, გვ. 116). იდენტობის კონფიგურაცია „ლიბიდოს ცვალებადობებთან, განვითარებულ უნარებთან და

სოციალურ როლებში შეთავაზებულ შესაძლებლობებთან ყველა იდენტიფიკაციის“ ინტეგრირებას ემსახურება. იდენტობის კონფიგურაციის ფორმირებას მოაქვს „თავდაჯერებულობის მომატება, რომ წარსულში შეძენილი შიდა იგივეობრიობა და უწყვეტობა იმ მოსაზრების უწყვეტობასა და იგივეობრიობას შეესაბამება, რომელიც ამ ინდივიდის შესახებ გააჩნიათ სხვებს“ (Erikson, 1963, გვ. 261). მაშასადამე, იდენტობის კონფიგურაცია მრავალი განსხვავებული რამის შინაარსიან/მნიშვნელობის მქონე პატერნში გაერთიანების ანუ ინტეგრაციის ფუნქციას ემსახურება. ის თანმიმდევრულ მთლიანში უყრის თავს უნარებს, ღირებულებებს, მიზნებსა და როლებს; აერთიანებს იმას, რაც შეუძლია და რისი გაკეთებაც სურს პიროვნებას სოციალურ გარემოში მოქმედებისთვის არსებული შესაძლებლობებისა და შეზღუდვების პირობებში; ასევე, დამახსოვრებული წარსულის, განცდილი აწმყოსა და ანტიციპირებული მომავლის ასპექტებს აერთიანებს.

როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს იდენტობის ეს უნიკალური „კონფიგურაცია“? მაკადამსი (1993, 1997b, 2001a) თვლის, რომ იდენტობის კონფიგურაციის ფორმირება, პირველ რიგში, ინტეგრაციული ცხოვრებისეული ისტორიის² სახით უნდა წარმოვიდგინოთ, რომლის კონტურირებასაც პიროვნება გვიან მოზარდობასა და ადრეულ მოზრდილობაში იწყებს. სულ უფრო მეტი პიროვნების, სოციალური, კოგნიტური, განვითარებისა და კლინიკური ფსიქოლოგი აღწერს იდენტობას იმ ნარატივის ტერმინებით, რომლებსაც ადამიანები ჰყვებიან სოციალურ სამყაროში.³ სინგერისა (2004) და სხვების მსგავსად, მაკადამსი ტერმინით ნარატიული იდენტობა აღნიშნავს ინტერნალიზებულ და განვითარებად ისტორიას მე-ს შესახებ, რომელსაც პიროვნება ცნობიერად და არაცნობიერად აგებს მე-ს მრავალი განსხვავებული ასპექტის გასაერთიანებლად. ნარატიული იდენტობა პიროვნების ცხოვრებას გარკვეული ხარისხის ერთიანობას, მიზანსა და შინაარსს სძენს.

ნარატიული იდენტობა შეიძლება გავიგოთ, როგორც ინფორმაციის დამუშავების სტრუქტურა, კოგნიტური სქემა ან კონსტრუქტების სისტემა, რომელიც ფორმირებულია და მედიატორია სოციალური ინტერაქციის პროცესის. როგორც წესი, ადამიანები ქმნიან ისტორიას, რომ ჰქონდეთ ხედვა, რას და რა მიზნით აკეთებენ. ასეთი ნარატივები ადამიანის მოქმედებებს დროში ორგანიზებისა და ქცევის ახსნის საშუალებას იძლევიან. ასევე მოვლენების თანმიმდევრობას ალაგებენ დროში და ერთმანეთთან აკავშირებენ ქცევის ამხსნელ მიზნებს, მოტივაციასა და გრძნობებს. ასეთი სელფ-ნარატივები ახდენენ სამომავლო ქცევის ფორმირებას, რამდენადაც ადამიანები თანხმობაში მოდიან იმ ისტორიებთან და მითებთან, რომლებიც საკუთარი თავის შესახებ შექმნეს (McAdams, 1985). ნარატიული იდენტობა მაკადამსის (2013) მიხედვით განისაზღვრება, როგორც სუბიექტური, კონსტრუირებული და განვითარებადი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოყალიბდა ინდივიდი ისეთად, როგორიც ამჟამად არის. ეს ინტერნალიზებული და განვითარებადი ნარატივი თავის თავში აერთიანებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს, რითიც ინდივიდს პიროვნული უწყვეტობის განცდას ანიჭებს (Pasupathi, Brubaker, & Mansour, 2007). ეს თავდაპირველი განმარტება ყველაზე მჭიდროდ ეგოს განვითარების ერიკსონისეულ (1963) ცნებას უკავშირდება, თუმცა პიროვნული იდენტობის ცნებასაც შეიძლება დავუკავშიროთ, რომელშიც ნარატივი მხოლოდ დროთა განმავლობაში მე-სთვის სელფისთვის) საზრისის მინიჭებისთვის კი არ გამოიყენება, არამედ სხვადასხვა კონტექსტშიც უნარჩუნებს მე-ს ამ საზრისს (McLean, Syed, Yoder, & Greenhoot, 2014;

²story

³სა ი ლუს ტრა ცი ოდ იხ . Conway & Holmes, 2004; Fivush, 2011; Singer, 2004.

Schachter, 2004; Syed, 2010). ამრიგად, იდენტობის სუბიექტურ კონსტრუქციას დროსა და კონტექსტში თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა შეუძლია და ამას ამ უწყვეტობის ამხსნელი და ამსახველი ისტორიების შეთხზვით ახერხებს (Syed & McLean, 2016).

სულ უფრო მეტი თეორეტიკოსი და მკვლევარი თანხმდება, რომ ადამიანები ნარატიული იდენტობების აგებას მოზარდობისას და ადრეული მოზრდილობისას იწყებენ და ამ მოთხოვნებზე მუშაობას მთელი მოზრდილი ცხოვრების განმავლობაში აგრძელებენ (McLean & Syed, 2015). ნარატივები, რომლებსაც ადამიანები საკუთარი ცხოვრებისთვის შინაარსის მისაცემად ქმნიან, თანამედროვე მოზრდილებს რთულ სოციალურ ეკოლოგიაში მათი ადგილის პოვნაში ეხმარებათ. ამრიგად, სწორედ ნარატიული იდენტობის რეალიზებაში გვიჩვენებს პიროვნება საკუთარ ყველაზე მნიშვნელოვან და ჩახლართულ ურთიერთობებს კულტურასა და საზოგადოებასთან (McAdams, 2009). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცხოვრებისთვის შინაარსის მისაცემად ადამიანები ქმნიან ნარატივებს, რომ მოაწესრიგონ ის, ვინ იყვნენ წარმოსახვით წარსულში, ვინ არიან ახლა და ვინ შეიძლება იყვნენ მომავალში ოჯახის, თემის, სამსახურის, ეთნიკურობის, რელიგიის, გენდერის, სოციალური კლასისა და კულტურის სოციალურ კონტექსტში. როგორც მკვლევრები ამბობენ, „მე“ საზოგადოების პირობებთან შეგუებას ნარატიული იდენტობის მეშვეობით ახერხებს (McAdams & McLean, 2013; McLean & Syed, 2016).

1.2. ცხოვრების ისტორია და პენიტენციურ სისტემაში ყოფნის გამოცდილება

ამბების მოყოლა ადამიანური ურთიერთობების ძირითადი ფორმაა. მას არსებითი ფუნქციის შესრულება შეუძლია ჩვენს ცხოვრებაში (ხეჩუაშვილი, 2013). ადამიანები თავიანთი ბუნებით მთხრობელები არიან. ჩვენ ხშირად ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ ისტორიების/ამბების ფორმით და საკუთარ ცხოვრებასაც ამბების მეშვეობით ვძენთ აზრს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ამბების მოყოლა მოვლენის, გამოცდილების ნარატიულ ანგარიშს იძლევა. ჩვენ შეგვიძლია ამ მოვლენების შესახებ საუბარი, ვინაიდან ვიცით, რა მოხდა. სწორედ მოვლენის საფუძვლიანი ცოდნა გვაძლევს საშუალებას და გვიბიძგებს მოყოლისკენ.

ნარატივები, რომლებსაც ყოფილი მსჯავრდებულები ყვებიან, მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესოა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, ინტერნალური სელფ-ნარატივები მიმართულებას აძლევს და ფორმას აძლევს ადამიანის ქცევას. სკოტისა და ლაიმანის (1968) თანახმად, დევიაციის ფენომენი და ნარატიული იდენტობა შინაგანად უკავშირდება ერთმანეთს და, შესაბამისად, ნარატივების გაგებამ დევიაციის ფენომენის გაგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. მეორე, სელფ-ნარატივები დინამიკურია. ბევრი ფაქტორი აღძრავს ადამიანის ქცევას (გენეტიკა, პიროვნული გამოცდილება, ასაკი და სხვა), მაგრამ მათი უმრავლესობის კორექცია ვერ მოხერხდება სოციალური მუშაკებისა თუ პენიტენციური სისტემის საშუალებით. თეორიულად, სელფ-ნარატივები ამის შესაძლებლობას იძლევა. და ბოლოს, სელფ-ნარატივები ექსპლიციტურად კონტექსტუალურია; მონათხრობები კულტურული არტეფაქტებია. ერთ-ერთი საუკეთესო გზა კონკრეტული სუბკულტურის ან ჯგუფის გასაგებად, იმ ისტორიების ანალიზია, რომლებსაც ამ ჯგუფის წევრები ყვებიან. შესაბამისად, ყოფილი მსჯავრდებულების მონათხრობები გვეხმარება გავიგოთ, როგორ კონსტრუირდება დევიაცია დასავლურ საზოგადოებაში (Scott & Lyman, 1968).

ცხოვრების ისტორიების ნარატივებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კრიმინალური, დევიანტური ქცევების შესწავლასა და ანალიზში (Becker, 1966; Bennett,

1981). კრიმინოლოგიაში ცხოვრებისეული ისტორიების გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩიკაგოს სოციოლოგიის სკოლა მეოცე საუკუნის დასაწყისში. ცხოვრებისეული ისტორიების, მაგალითად, The Jack-Roller⁴, სადაც პიროვნება თავისივე ცხოვრებაზე საუბრობს, კვლევითი მიზნებისთვის გამოყენება საუკეთესო გზაა მისი შინაგანი სამყაროს შესასწავლად (Shaw, 1929).

სელფ-ისტორიებმა, როგორც პიროვნების შინაგანი სამყაროში შეღწევის საშუალებამ, ბიძგი მისცა ფსიქოლოგიაში ახალი პარადიგმის — ცხოვრების ნარატივების შესწავლის — დამკვიდრებას. როგორც სარბინი (1986) აღნიშნავს, ნარატივი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მთლიანად ფსიქოლოგიური სფეროს მათგან განსხვავებული პრინციპი. ტრადიციულად, კრიმინოლოგები ცხოვრების ისტორიის ნარატივებს სოციოლოგიურ და არა — ფსიქოსოციალურ კონტექსტში იყენებდნენ.

თეორეტიკოსებმა სოციოლოგიაში (Giddens, 1991), კრიმინოლოგიაში (Canter, 1994), ადიქციის კვლევებში (Singer, 1997) და ფსიქოლოგიაში (Bruner, 1987) ფართოდ დაიწყეს „პიროვნული მითის“, მაკადამსისეული (2013) გაგებით, ცხოვრების ისტორიის ხედვა. სელფ-ნარატივი უფრო და უფრო ხშირად გაიგება, როგორც ინდივიდის პიროვნული და შინაგანი მე-ს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნაწილი.

თუკი პიროვნება სიტუაციებს აფასებს, როგორც რეალურს, მაშინ რეალურია მათ მიერ გამოწვეული შედეგებიც (Thomas & Thomas, 1928). სელფ-ისტორიები წარმოადგენენ პიროვნულ პერსპექტივას და „თეორიებს რეალობის შესახებ“ და არ არის აუცილებელი ისინი ობიექტურადაც სრულიად რეალური იყოს (Epstein & Erskine, 1983). მაგალითად, პიროვნებამ შეიძლება ჩაიდინოს რაიმე სახის დევიანტური ქცევა, რომელიც გარე დამკვირვებლისთვის ყოველგვარ აზრს იყოს მოკლებული, მაგრამ თავად ამ პიროვნებისთვის სელფ-ნარატივის კონტექსტში უადრესად რაციონალურ ქმედებას წამოადგენდეს (Canter, 1994; Shover, 1996).

ნარატიული თეორიის მიხედვით, ადამიანის ქცევაში გარკვევა მხოლოდ იმის გაგებით შეგვიძლია, როგორ ხედავს და ინტერპრეტირებს უკეთეს ადამიანი საკუთარ თავს, შეგვიძლია გავიგოთ მისი ქცევა. უფრო მეტიც, სელფ-ისტორიის ცვლილებით პიროვნება იცვლის ქცევას (cf. Beck, 2000; Bush, 1995). პიროვნული ნიშნებისგან განსხვავებით, რომლებიც ინარჩუნებენ სტაბილობას დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, პიროვნების ნარატიული იდენტობა შესაძლებელია შეიცვალოს ცხოვრების მანძილზე (Giddens, 1991). ნარატივისტები ამტკიცებენ, რომ იდენტობა ეს არის ცხოვრების პროექტი, რომელსაც ინდივიდები გამუდმებით აკონსტრუირებენ ახალი გამოცდილებებისა და ინფორმაციის შესაბამისად (McAdams, 1993).

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ სელფ-ისტორიები ბევრნაირი ფორმით შეიძლება შეგვხვდეს, ნარატიული თეორია არ ცდილობს პიროვნებების სტატიკურ „ტიპებად“ დაყოფას, ან იმას, რასაც კანტერი (1994) „ცხოვრების ისტორიების კაფეტერიულ ხედვას“ უწოდებს. ამგვარი დინამიკურობა და კონტექსტით მართულობა აქცევს ნარატივს კვლევის წამყვან ერთეულად პერსონოლოგიაში ანალიზისა და ისეთი ხანგრძლივი პატერნის ქცევების უკეთესად გაგებისთვის, როგორცაა კრიმინალი და დევიაცია.

ნარატივებს აქტიურად შეისწავლიან ყოფილი მსჯავრდებულების კვლევებში. მაგალითად, ახალ ზელანდიაში ჩატარებულმა კვლევამ (Leibrich, 1993) აჩვენა, რომ არ არსებობს მკვეთრი ექსტერნალური განსხვავება იმ ადამიანების სოციალურ

⁴ 1930 წელს გამოქვეყნებულ კლფორდ შოუს წიგნი *The Jack-Roller: A Delinquent Boy's Own Story*.

გარემოცვაში, ვინც გააგრძელა და ვინც უარი თქვა კრიმინალურ კარიერაზე, თუმცა, გამოვლინდა მნიშვნელოვანი კოგნიტური ცვლილებები. აღმოჩნდა, რომ გადამწყვეტია არა ადამიანების ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, არამედ ამ ცვლილებების მათეული ინტერპრეტაციები. საინტერესოა, რომ ყოფილ მსჯავრდებულებში გავრცელებული პოზიციაა: „შენს თავის რეაბილიტაციას შენვე ახდენ“ (Meisenhelder, 1977).

ლივერპულის დანაშაულისგან დისტანცირების კვლევაში ყოფილმა მსჯავრდებულებმა გამოავლინეს მომავლის მოვლენებზე გადაჭარბებული კონტროლის განცდა და გენერაციული, თითქმის მისიონერული ცხოვრების მიზანი მაშინ, როცა მოქმედი მსჯავრდებულები გაცილებით ადეკვატურად აფასებდნენ როგორც საკუთარ მდგომარეობას (მძიმე, აუტანელი), ისე — საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნის (მორგების) საჭიროებას (Maruna, 2001). ყოფილ მსჯავრდებულების არაზუსტ შეფასებებსა და „დამახინჯებული“ კოგნიციების ფენომენს მარუნამ სარგებლის პოვნა⁵ უწოდა. იპოვო რაიმე ნათელი, კარგი და სასარგებლო, ნიშნავს იპოვო მიზანი ყველაზე უფრო ბნელ ცხოვრების ისტორიაშიც კი (cf. Frankl, 1984; Taylor, 1983). წარსული მოვლენების სელექციურად და კრეატიულად რეინტერპრეტაცია ყოფილ მსჯავრდებულებს საკუთარი ცხოვრების ისტორიების „ჩასწორებასა“ და ფსიქოლოგიური უწყვეტობის განცდისა და კოგნიტური კონგრუენტულობის დაბრუნებაში ეხმარება. საბოლოოდ, ეს ნიშნავს ცხოვრების არეული მოვლენების დალაგებასა და მოწესრიგებას, რაც ესოდენ სჭირდებათ ყოფილ მსჯავრდებულებს.

როგორც ნებისმიერი ნარატივი, დანაშაულისგან დისტანცირების მონათხრობს მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და დამაჯერებელი და კოჰერენტული იყოს. ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით ყოფილ მსჯავრდებულების ავტობიოგრაფიების ანალიზისას მარუნამ (1997) დანაშაულისგან გათავისუფლების პროტოტიპულ მოდელს გვთავაზობს (იხ. სურ. N1), რომელიც თანხვდება დასავლური კულტურის ნარატიულ სტრუქტურას. აღნიშნული მოდელი დაედო საფუძვლად წინამდებარე კვლევაში შემოთავაზებულ თეორიულ მოდელს.

მარუნას (1997) მიხედვით, ამბავს ბავშვობაში კონტამინირებული დასაწყისი აქვს ანუ როცა ხდებოდა რაღაც ცუდი. მთხრობელი განიცდიდა პასიურ ვიქტიმიზაციას და შედეგად ჩამოუყალიბდა აგენტობისა და ურთიერთკავშირის არაჯანსაღი ფორმები, რამაც საფუძველი ჩაუყარა დელიკვენტურ ქცევას. პიროვნება საკუთარი თავის რეალიზაციას დევიანტურ, მარგინალურ ჯგუფებში ხედავს და ჩადის დანაშაულს. შედეგად ხვდება სასჯელაღსრულების სისტემაში. იქ იწყებს ფიქრს საკუთარ ცხოვრებაზე ანუ ავტობიოგრაფიულ მსჯელობას, რასაც ინდივიდი მიჰყავს გადაწყვეტილებამდე, შეცვალოს ცხოვრების მიმართულება. მას ეძლევა მეორე შანსი და იმსახურებს პატივისცემას გარშემომყოფების მხრიდან. იძენს მეგობრებს და, საბოლოოდ, შორდება კრიმინალს. ეს წარმატებული გარდასახვის სცენარია. ბუნებრივის, რომ მოვლენები ყოველთვის ამ სცენარით არ ვითარდება და შესაძლებელია, გარდასახვას რაიმე ბარიერი აფერხებდეს. შედეგად, პიროვნება ბრუნდება დელიკვენტური ქცევის ეტაპზე და ჩაკეტილ წრეზე ტრიალებს. მოდელის ბოლო მდგენელია სხვების დახმარების სურვილი; გასცეს რაიმე სანაცვლოდ მათთვის, ვინც ხელი შეუწყო და დაეხმარა მას ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლაში. ამ ეტაპზე მყოფი ადამიანები განსაკუთრებული ხელგაშლილობითა და გენერაციულობით ხასიათდებიან. მთხრობელი სხვებსაც ღიად მოუწოდებს პროსოციალური

⁵ Making good

ქმედებებისკენ და იმედოვნებს, რომ სხვები არ გაიმეორებენ მათ მიერ ადრეულ ასაკში დაშვებულ შეცდომებს (Maruna, 1997).

1.3. ავტობიოგრაფიული მსჯელობა

ცხოვრების ისტორიების სხვებთან გაზიარებას ძალიან ხშირად თან ახლავს წარსული მოვლენების იმ რწმენების გავლენით ინტერპრეტირება, რომლებიც ადამიანებს ამ კონკრეტული მოვლენების მიმართ აქვთ. ჰაბერმასისა და ბლაკის (2000) მიხედვით, წარსულ და მიმდინარე მოვლენებს შორის კაუზალური კავშირების დანახვა ავტობიოგრაფიული მსჯელობის პროდუქტს წარმოადგენს. ეს არის მუდმივად განვითარებადი, წარსულისა და სელფის დამაკავშირებელი ინტერპრეტაციული პროცესი, რომელიც ცენტრალურ როლს ასრულებს ადრეულ მოზრდილობაში ნარატიული იდენტობის კონსტრუირებაში (McAdams, 1993, 2001; Pals, 2006a; Pasupathi, Mansour, & Brubaker, 2007; Singer, 2004). ზოგადად, როდესაც საკუთარი ცხოვრების შესახებ ვყვებით, საკუთარ თავზე ვმუშაობთ, რადგან საკუთარი ცხოვრების უფრო სიღრმისეულ მნიშვნელობას ვაგნებთ რეფლექსიისა და მოვლენების, გამოცდილებებისა და განცდილი გრძნობების ვერბალიზაციით (Atkinson, 1998).

ჰაბერმასისა და ბლაკის (2000) მიხედვით, ავტობიოგრაფიული მსჯელობა არის რეფლექსიური ფიქრი ან საუბარი პიროვნულ წარსულზე (ან საკუთარ წარსულზე), რომელიც მოიცავს კავშირების გაბმას ორ ელემენტს -- პიროვნების ცხოვრებასა და სელფს -- შორის. სელფსა და მოვლენებს შორის კავშირების დამყარებისას ავტობიოგრაფიულ მსჯელობას აქვს ორი ძირითადი მიმართულება. პირველი, რომელიც აძლიერებს სელფის სტაბილურობას და მეორე, რომელიც ემსახურება სელფის ცვლილებას (Pasupathi, et al., 2007). სელფ-სტაბილურობის კავშირები ადამიანს ეხმარება შეინარჩუნოს სელფის უწყვეტობის განცდა და ახსნას მოვლენები სელფის რომელიმე მახასიათებლის მიხედვით. ამის საპირისპიროდ, სელფ-ცვლილების კავშირები ემსახურება ხაზი გაუსვას მთხრობელის აღქმას, როგორ მოახდინა რომელიმე მოვლენამ მის ცხოვრებაზე გავლენა და შეცვალა ის დინამიკურ პროცესში (Pasupathi, et al., 2007). ორივე, სტაბილობისა და ცვლილების კავშირები ფუნდამენტურია უწყვეტობისა და კოჰერენტულობის მისაღწევად მოზრდილ ცხოვრებაში.

ავტობიოგრაფიულ მსჯელობაში, ასევე, განარჩვენ მოვლენა-მოვლენა კავშირებს. მოვლენა-მოვლენა კავშირები განისაზღვრება, როგორც მოვლენებს შორის ექსპლიციტური კავშირები. ეს კავშირები ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ მივყავართ ერთ მოვლენას მეორემდე, ან როგორ ქმნიან მოვლენები საერთო თემას (McLean, 2008).

ავტობიოგრაფიულ მსჯელობაში წარსულ მოვლენებზე რეფლექსიური ფიქრი და ცხოვრების გამოცდილებებიდან ახლის სწავლა არის საზრისის დახვეწილობა. საზრისის კომპლექსურობა მატულობს ასაკთან ერთად (მაგალითისთვის იხ. Habermas & Paha, 2001; McCabe et al., 1991; McLean, 2005; Pratt et al., 1999). საზრისის დახვეწილობაზე შეგვიძლია ვისაუბროთ მაშინ, როცა ნარატივში ცხადად, ექსპლიციტურად არის ნათქვამი, რომ მთხრობელმა კონკრეტულ ინსაიტს მიაგნო აღწერილი მოვლენის კონტექსტში, რომელიც მისი ცხოვრების უფრო ფართო სფეროებზე ვრცელდება, ვიდრე ეს კონკრეტული სიტუაციაა.

1.4. კოჰერენტულობა

პერსონალური ნარატივი გვეხმარება გამოცდილებისთვის საზრისის მინიჭებაში (Bruner, 1990). გამოცდილებაში საზრისის პოვნის მნიშვნელოვან ინდიკატორს

პერსონალური ნარატივის კოჰერენტულობა (Linde, 1993) წარმოადგენს კოჰერენტულობა მნიშვნელოვანი კონცეფციაა ნარატივების კვლევის ბევრ სფეროში, მათ შორის ავტობიოგრაფიულ მსჯელობაში (Baker-Ward, Eaton, & Banks, 2005; Fivush, Fivush, 2008; Kulkofsky, Wang, & Ceci, 2008), სელფისა და სხვების გაგებაში (Bird & Reese, 2006; Fivush & Nelson, 2004), კომუნიკაციასა (Hudson & Shapiro, 1991; McCabe & Bliss, 2003) და იდენტობის ფორმირებაში (Habermas & Bluck, 2000; McAdams, 1993; McLean, Pasupathi, & Pals, 2007). თეორიულად, კოჰერენტული პერსონალური ნარატივების მქონე ადამიანებს უკეთესი ავტობიოგრაფიული მეხსიერება, სელფის სიღრმისეული გაგება და უფრო მტკიცე/სტაბილური იდენტობა აქვთ. და უფრო ეფექტიანები არიან კომუნიკაციის პროცესში. პერსონალური ნარატივების კოჰერენტულობა დადებითად კორელირებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასა (Baerger & McAdams, 1999; Fratorroli, 2006; Pennebaker, 1997) და მჭიდრო ოჯახურ კავშირებთან (Bretherton & Munholland, 1999; Fiese et al., 1999; Laible & Thompson, 2000; Main, Waters & Waters, 2006). ნარატივის კოჰერენტულობა თავისთავად არ გულისხმობს თხრობას კარგი „არტისტული“ სტილით, თუმცა, კარგად დალაგებული ამბავი აუცილებლად კოჰერენტულია. ამრიგად, კოჰერენტულობა შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ხარისხიანი მონათხრობის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა არსებითი მახასიათებელი.

მაკადამსის (1993, 2001, 2006) მიხედვით, მოზრდილი ადამიანის ცხოვრებაში იდენტობის მოწიფულობის შეგრძნებას კოჰერენტული ცხოვრების ისტორია ბადებს, რომელშიც ინტეგრირებულია წარსული, აწმყო და მომავალი და რომელიც ადამიანის ცხოვრებას მნიშვნელობითა და მიზნით ავსებს (მაგალითისთვის იხ. McAdams & McLean, 2013; McLean and Syed, 2015).

ნარატივის კოჰერენტულობა გვიჩვენებს, რამდენად ათავსებს მთხრობელი საკუთარი ისტორიის მახასიათებლებსა და საკუთარ მოქმედებებს კონკრეტულ კონტექსტში, რამდენად მიყვება ისტორია მიზანმიმართული ქმედებების დროით ხაზს/მიმდევრობას, რომელიც აღიარებულია მოცემულ კულტურაში, ემოციები ნათლად არის გამოხატული ნარატივის აზრის შესატყვისად და მხარდასაჭერად და ნარატივი ინტეგრირებულია უფრო ფართო ცხოვრებისეულ თემებსა და საზრისებში/მნიშვნელობებში.

კოჰერენტულობა სამი კომპონენტისგან შედგება: კონტექსტი, ქრონოლოგია და თემა. კონტექსტი მოიაზრებს ისეთ დეტალებს, როგორცაა სად და როდის მოხდა ამბავი. ეს აღწერილი მოვლენების უკეთ დასაანახად ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. ქრონოლოგია ნარატივის დალაგების ფორმაზე მიუთითებს: შეუძლია თუ არა მსმენელს დადგინოს, რა თანმიმდევრობით ხდებოდა მოვლენები? რომელი იყო დასაწყისი ეპიზოდი და რომელი — მომდევნო. ამასთან, არ არის აუცილებელი, ნარატივში ამბები ზუსტად იმ თანმიმდევრობით იყოს დალაგებული, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა. ხშირად მთხრობელი თხოვის სხვადასხვანაირ გზას ირჩევს; მაგალითად, იწყებს ყველაზე ამაღლებული მომენტიდან და შემდეგ დროში უკუსვლით ყვება მანამდე მომხდარ ამბებს, რამაც ამაღლებულ მომენტამდე მიიყვანა. ნარატივი ნებისმიერ შემთხვევაში ქრონოლოგიურია, თუკი მსმენელისთვის გასაგებია ქრონოლოგია. რაც შეეხება თემას, ის გვიჩვენებს ამბის განვითარებას: შესავალი, პიკური მომენტი და გადაწყვეტა, რომელიც გაჯერებულია აფექტითა და შეფასებითი დამოკიდებულებით (მაგალითისთვის იხ. Labov, 1972; McAdams, 2006).

1.5. ნარატივის თემატური ხაზები

ბოლო ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში მკვლევრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ცხოვრებისეულ ისტორიებში ცენტრალური თემატური ხაზების იდენტიფიცირებით. თემატური ხაზები ნარატივის პერსონაჟების განმეორებად სურვილებს შეეხება (McAdams, 1985). ბევრ ნარატივში პერსონაჟები ხშირად ცდილობენ გარკვეული ფორმის ძალაუფლების, სიყვარულის ან ორივეს მოპოვებას. უფრო ზოგადად, თემატური ხაზები ხშირად ასახავენ იმას, რასაც ბაკანი (1966) აგენტობას და ურთიერთკავშირს⁶ უწოდებს. მისთვის ეს ორი ფუნდამენტურ მოდალობას წარმოადგენს ყველა ცოცხალი ფორმისთვის. აგენტობა შეეხება ინდივიდის მცდელობას, განავრცოს, მიიღოს, სრულყოს და დაიცვას საკუთარი თავი, გამოეყოს სხვებს და გაუმკლავდეს გარემოს, რომელშიც მისი მე ბინადრობს. პიროვნულ ნიშნებთან მიმართებით, აგენტობა ისეთი ცნებებით აღიწერება, როგორც არის დომინანტობა და ექსტრავერსია და, ასევე, აისახება მიღწევასა და ძალაუფლების მოტივაციაში. ურთიერთკავშირი/ერთობა შეეხება ინდივიდის მცდელობას, გაერთიანდეს სხვა ინდივიდებთან, დაუკავშირდეს მათ სიყვარულის, ინტიმურობის, მეგობრობისა და ერთიანობის კავშირებით. ნიშნებთან მიმართებით, ურთიერთკავშირი აისახება ისეთი ცნებებით, როგორც არის თანხმობისადმი მზაობა და ზრუნვა და, ასევე, ვლინდება ინტიმურობისა და აფილაციის მოტივაციაში (McAdams, 2013).

ცხოვრებისეული ისტორიები ერთმანეთს აგენტური და ურთიერთკავშირის თემატური ხაზების სიძლიერისა და გამოკვეთილობის მიხედვით შეიძლება შედარდეს. აგენტურ ცხოვრებისეულ ისტორიაში პერსონაჟი ძალაუფლებისკენ, მიღწევისკენ, დამოუკიდებლობისკენ, ოსტატობისკენ და ა. შ. ისწრაფვის. ურთიერთკავშირის ანუ კომუნალური თემების დომინირებით შექმნილ ცხოვრებისეულ ისტორიებში პერსონაჟები მეგობრობისთვის, სიყვარულისთვის, ინტიმურობისთვის, ერთიანობისთვის და ა. შ. იბრძვიან. ზოგიერთი ცხოვრებისეული ისტორია ორივე თემას მოიცავს, ზოგიერთში კი ორივე ნაკლებად არის გამოხატული. მკვლევრები თვლიან, რომ აგენტობისა და ურთიერთკავშირის თემები ცხოვრებისეულ ისტორიებში კონსისტენტურად უკავშირდებიან ადამიანების მოტივაციურ ტენდენციებს. მაგალითად, მაკადამსმა და მისმა კოლეგებმა აღმოაჩინეს, რომ ადამიანები, რომლებიც აგენტობის ქვეთემებით აღსავსე ამბებს ყვებიან, შედარებით მაღალ ქულებს იღებენ თატ-ის მიღწევისა და ძალაუფლების მოტივაციის სკალებზე და წარმატებულობისა და ძლიერად თავის შეგრძნებისკენ მისწრაფებების ჩამონათვალის გაკეთების ტენდენციით გამოირჩევიან (McAdams, 1982; McAdams, et. al., 1996). ადამიანები, რომელთა ცხოვრებისეული ისტორიები ურთიერთკავშირის ქვეთემების სიმრავლით ხასიათდება, შედარებით მაღალ ქულებს იღებენ თატ-ის ინტიმურობის მოტივაციის სკალაზე და პიროვნულ მისწრაფებათა ჩამონათვალში სხვებთან თბილი და ახლო ურთიერთობების დამყარებაზე საუბრობენ.

მაკადამსსვე (1988) ეკუთვნის კიდევ ვალიდური და აპრობირებული კოდირების სისტემა ამ ორი მოტივისთვის. აგენტობა შეეხება ინდივიდის მცდელობას, განავრცოს, მიიღოს, სრულყოს და დაიცვას საკუთარი თავი, გამოეყოს სხვებს და გაუმკლავდეს გარემოს, რომელშიც მისი მე ბინადრობს. პიროვნულ ნიშნებთან მიმართებით, აგენტობა ისეთი ცნებებით აღიწერება, როგორც არის დომინანტობა და ექსტრავერსია და, ასევე, აისახება მიღწევასა და ძალაუფლების მოტივაციაში. ურთიერთკავშირი/ერთობა

⁶Agency and communion.

შეეხება ინდივიდის მცდელობას, გაერთიანდეს სხვა ინდივიდებთან, დაუკავშირდეს მათ სიყვარულის, ინტიმურობის, მეგობრობისა და ერთიანობის კავშირებით. ნიშნებთან მიმართებით, ურთიერთკავშირი აისახება ისეთი ცნებებით, როგორც არის თანხმობისადმი მზაობა და ზრუნვა და, ასევე, ვლინდება ინტიმურობისა და აფილაციის მოტივაციაში (McAdams, 1988, 2013).

1.6. პიროვნული ზრდის ამსახველი ნარატივი

ცხოვრების ისტორიისა და ადაპტაციის ურთიერთკავშირის კვლევები (მაგალითისთვის იხ. Pals & McAdams, 2004) აჩვენებენ, რომ მთხრობელი, რომელიც კომპენსაციას/დადებით შედეგს ხედავს ტანჯვისა და ტკივილის შემცველ ცხოვრებისეულ მოვლენებში, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მაღალი დონით ხასიათდება (McAdams & McLean, 2013).

პიროვნული ზრდის ამსახველი ნარატივის სტრუქტურას მაკადამსი (2011, 2013) მაკომპენსირებელ თანმიმდევრობას⁷ უწოდებს, რომელშიც ცუდ სცენას მოსდევს კარგი ეპიზოდი. ისტორია იწყება სოციალურად, ემოციურად ან მორალურად უარყოფითი სიტუაციით, რომელიც ადგილს უთმობს სოციალურად, ემოციურად ან მორალურად დადებითი სიტუაციის ჩამოყალიბებას. მთხრობელი განიცდის ტანჯვას ან მსგავს მდგომარეობას დასაწყისში, რასაც საბოლოოდ მიჰყავს პოზიტიურ შედეგამდე (McAdams, 2011). მაკომპენსირებელ თანმიმდევრობას მოსდევს ერთგვარი გათავისუფლება ტანჯვისგან, უარყოფითი სცენის გამოსყიდვა, ან მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ხელსაყრელი, სასურველი ცვლილება ცხოვრებაში, ან გაკვეთილი, რომელიც პროტაგონისტმა ცუდი მოვლენისგან ისწავლა/გამოიტანა (McAdams, 2006). მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე ისტორიაში კარგი დასასრული მოსდევს ცუდ დასაწყისს (McAdams, 2011), რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს ისეთი ნეგატიური ემოციების განცდას, როგორცაა შიში, დანაშაულის გრძნობა, სირცხვილი ან სასოწარკვეთა (McAdams, 2006).

ამრიგად, პიროვნული ზრდის ამსახველი თხრობის თანმიმდევრობა გულისხმობს, რომ მთხრობელისთვის უარყოფითი ემოციების მქონე მოვლენებს მოსდევს დადებითი ემოციებით დატვირთული შედეგი და ამგვარად ხდება უარყოფითი სცენის გამოსყიდვა ან გაუმჯობესება.

1.7. გენერაციულობა

ყოფილი მსჯავრდებულების ნარატივების კვლევებმა აჩვენა, რომ რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება გენერაციულობას (Maruna, 2001). წინამდებარე კვლევაში გენერაციულობა გამოყენებულია, როგორც საზოგადოებაში დაბრუნების, რეინტეგრაციის ინდიკატორი.

გენერაციულობა ერიკსონის (ხეჩუაშვილი, 2016c) ფსიქოსოციალური განვითარების მოდელში მეშვიდე სტადიაა და, ზოგადად, ცხოვრების იმ ყველაზე ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, რომელიც ადრეულ მოზრდილობას მოსდევს და გვიან ხანშიშესულობამდე გრძელდება.

გენერაციულობის უფრო დეტალური აღწერა თანამედროვე მეცნიერებს ეკუთვნით: „გენერაციული ინდივიდები უაღრესად ჩართულნი არიან თავიანთ სამუშაოსა და ახალი თაობის აღზრდაში. ასევე, მათ უფრო ფართო საზოგადოებრივი საკითხებიც აინტერესებთ. ისინი ტოლერანტულები არიან სხვადასხვა იდეისა და

⁷Redemption (იხ . ხე ჩ უ ა შ ვ ი ლ ი , 2016c).

ტრადიციებისადმი და შეუძლიათ საკუთარ თავსა და სხვებზე ზრუნვასა და ანგარიშის გაწევას შორის ბალანსის შენარჩუნება“ (Kroger & Marcia, 2011). ამ სტადიაზე ოპტიმალური განვითარების მიუღწევლობა პიროვნებას სტაგნაციის შეგრძნებით ტოვებს, როცა მას არ ხელეწიფება სრულად ჩაერთოს სხვებზე ზრუნვასა და მათ აღზრდაში (Cloninger, 2004).

გენერაციულობა ხშირად, მაგრამ არა — ყოველთვის მშობლის როლით გამოიხატება. მასწავლებლობა და მენტორობა ამის ჩანაცვლებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. როგორც ერიკსონი (1963) წერს, კარგი მშობლის როლის მორგება ინდივიდს უკმაყოფილებს ბაზისურ „მოთხოვნილებას, რომ იყოს მოთხოვნადი“⁸. გენერაციულობის გამოხატვის მრავალი ალტერნატიული გზა არსებობს, თუმცა, მათ შორის გამოკვეთილად აღსანიშნია პროფესიული ცხოვრება, შემოქმედებითი საქმიანობა და საზოგადოებრივ საქმეებში ჩართულობა, როგორცაა ქველმოქმედება, საეკლესიო საქმეები და ა. შ. გენერაციული მოზრდილი საკუთარ თავს ისეთ აქტივობას უძღვნის, რომელიც უფრო მეტია და დიდია, ვიდრე მისი საკუთარი ცხოვრება და მნიშვნელოვან დროსა და ენერჯიას დებს ისეთ წამოწყებებში, რომლებიც „დარჩებიან თაობებს.“

თუ მოზრდილებში გენერაციულობის უნარი იმდენად გამოკვეთილია, რომ აჭარბებს სტაგნაციას, ჩნდება მოცემული სტადიის დადებითი თვისება — ზრუნვა. ზრუნვა ჩნდება იმ გრძნობიდან, რომ ვიღაცას ან რაღაცას აქვს მნიშვნელობა. ეს გულგრილობისა და აპათიის ფსიქოლოგიური ანტონიმიცაა. ის მოზრდილები, რომლებიც ვერ ხდებიან გენერაციულები, თანდათანობით, მეტად და მეტად იკეტებიან საკუთარ თავში და, საბოლოო ჯამში, ზრუნვის ძირითადი საგანი პირადი მოთხოვნილებები და კომფორტი ხდება. ეს ადამიანები არავისზე და არაფერზე ზრუნავენ, მხოლოდ საკუთარ სურვილებს ემორჩილებიან. გენერაციულობის დაკარგვასთან ერთად წყდება პიროვნების, როგორც საზოგადოების წევრის ფუნქციონირება, ცხოვრება საკუთარ საჭიროებათა დაკმაყოფილებად იქცევა, ღარიბდება პიროვნებათშორისი ურთიერთობები. ერიკსონის (1963) თანახმად, საშუალო მოზრდილობის ასაკში ძირითად ფსიქოპათოლოგიურ გამოვლინებას სხვა ადამიანებზე, საქმეებსა და იდეებზე ზრუნვის სურვილის უქონლობა წარმოადგენს.

წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია გენერაციულობის მაკადამისისეული (2013) მოდელი, რომლის მიხედვითაც, გენერაციულობა შვიდკომპონენტის კონსტრუქტს წარმოადგენს. თითოეული კომპონენტი მომავალ თაობაზე ზრუნვის პიროვნულ და საზოგადოებრივ მიზანზეა ორიენტირებული. გენერაციულობას უნდა შევხედოთ, როგორც რაღაცას, რაც პიროვნებაშიც არსებობს და მის სამყაროშიც. ეს გარემოს თვისებაც ისევეა, როგორც — ადამიანის. იმით, რომ პიროვნებასა და სოციალურ სამყაროს აკავშირებს ერთმანეთთან, გენერაციულობა მხოლოდ ფსიქოსოციალურ კონტექსტში შეიძლება „ხდებოდეს“, როდესაც გარკვეული პიროვნებაში და მის სამყაროში არსებული ცვლადები ერთად იყრიან თავს მომავალი თაობის უზრუნველსაყოფად (ხეჩუაშვილი, 2017).

ადამიანთა პრაქტიკულად ყველა კულტურა ითხოვს, რომ მოზრდილებმა შექმნან მომავალი თაობა. ეს მოთხოვნები განსხეულებულია მოცემულ საზოგადოებაში ასაკისთვის შესატყვისი ქცევის მიმართ საზოგადოებრივ მოლოდინებში (Berntsen & Rubin, 2004); თუმცა, გენერაციულობა მხოლოდ იმიტომ არ ჩნდება, რომ საზოგადოება ითხოვს ამას. ბევრი თეორეტიკოსი ფიქრობს, რომ გენერაციულობა ისევე იღებს სათავეს

⁸ Need to be needed.

ღრმად ფესვგამდგარ შინაგან სურვილში, როგორც კულტურის მოთხოვნაში. გენერაციულობის შემთხვევაში მოზრდილი ავითარებს, ზრუნავს ან ქმნის რაღაცას ან ვიღაცას „თავის ხატად და სახედ“, როგორც საკუთარი თავის გაგრძელებას.

კულტურის მოთხოვნა და შინაგანი სურვილი ერთობლივად ქმნიან ცნობიერ ფიქრს მომავალ თაობაზე. ამრიგად, ერთი მხრივ, განვითარების თანმხლები მოლოდინები მომავალ თაობაში წვლილის შეტანის მიმართ და, მეორე მხრივ, უკვდავობისა და ზრუნვის შინაგანი სურვილები, მოზრდილობაში ერთად იყრიან თავს და ხელს უწყობენ პიროვნების მიერ მომავალი თაობის განვითარებაზე ზრუნვას. ამასთან, მოზრდილს, შესაძლოა, ჩამოუყალიბდეს ის, რასაც ერიკსონი (1963) კაცობრიობის რწმენას უწოდებდა. ეს არის ბაზისური და ზოგადი რწმენა ადამიანის ცხოვრების ფუნდამენტურ სიკარგესა და ღირებულებაში, განსაკუთრებით მომავლის პერსპექტივაში. კაცობრიობის ძლიერი რწმენა შეიძლება დაეხმაროს მოზრდილს, რომ მომავალ თაობაზე ზრუნვა გენერაციულ ვალდებულებებად აქციოს ანუ საკუთარ თავზე აიღოს მომავალ თაობაზე პასუხისმგებლობა და მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც გენერაციული ქცევის შესატყვისი მიზნებისა და მისწრაფებების დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. ასეთი რწმენის უქონლობის შემთხვევაში მოზრდილს შეიძლება გაუძნელდეს მძლავრი გენერაციული ვალდებულებების აღება, რადგან ფიქრობს, რომ გენერაციული მცდელობა მაინც ვერ იქნება დიდი სარგებლის მომტანი. იგი დაახლოებით ასე ფიქრობს: რატომ უნდა მივუძღვნა თავი მომავალი თაობის წინსვლას, თუ ვფიქრობ, რომ სამყარო მაიანც დაილუპება და ბევრს ვერაფერს გავხდები (McAdams, 2009).

ვალდებულებით მართულმა ადამიანმა, რაც, თავის მხრივ, მოთხოვნის, სურვილის, ფიქრისა და რწმენის შედეგს წარმოადგენს, რეალურად შეიძლება რაღაც მოიმოქმედოს მომავალი თაობის სასიკეთოდ. გენერაციული ქმედება სამიდან ნებისმიერი სახით შეიძლება გამოვლინდეს, ესენია: შექმნა, შენარჩუნება ან შეთავაზება.

გენერაციული ქმედება ადამიანებისთვის, საგნებისთვის და შედეგებისთვის სიცოცხლის მინიჭებას შეიძლება მოიცავდეს. ეს შეიძლება იყოს იმ კეთება, გენერირება, შექმნა, ფორმულირება ან აღმოჩენა, რაც ადამიანს მიაჩნია, რომ „კარგია“. მეორე, გენერაციული ქმედება ამ „კარგის“ გადაცემას შეიძლება მოიაზრებდეს, იქნება ეს შენარჩუნება, შენახვა, დაცვა, მოფრთხილება, კულტივირება, ზრუნვა იმაზე, რაც ასეთი ქცევის განხორციელებად ღირს, იქნება ეს ბავშვების აღზრდა, კარგი ტრადიციების შენარჩუნება, გარემოს დაცვა და რიტუალების შესრულება (სკოლაში, სახლში თუ ეკლესიაში), რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ თაობებს და დროში უწყვეტობას უზრუნველყოფენ (Erikson, 1982). მესამე, გენერაციული ქმედება შეიძლება მოიცავდეს იმის დაუნანებლად შეთავაზებას, რაც შეიქმნა.

მოცემულ კვლევაში გენერაციულობის გასაზომად სწორედ გენერაციული ქმედების კომპონენტია აღებული, რადგან გენერაციულ ქმედებას ან გენერაციულობის ინტენციას მიყავს ნარატორი გენერაციულ თხრობამდე. სხვა სიტყვებით, გენერაციულობის ისეთ მოდელს, როცა მოზრდილებს ესმით კულტურის მოთხოვნა, მიჰყვებიან შინაგან სურვილს, ფიქრობენ მომავალ თაობაზე, სწამთ კაცობრიობის, იღებენ გენერაციულ ვალდებულებებს და ეს ყველაფერი საკუთარ ნარატივში გადააქვთ, მივყავართ გენერაციულ თხრობამდე. გენერაციული თხრობისას მოზრდილები ცნობიერად ან გაუცნობიერებლად უყვებიან საკუთარ თავს და სხვებს გენერაციულ სკრიპტს (სცენარს). ეს არის მოზრდილი ადამიანის შინაგანი ამბავი, რომელიც იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ სად არის გენერაციული ძალისხმევის ადგილი მის პიროვნულ ისტორიაში,

თანამედროვე საზოგადოებასა და სოციალურ სამყაროში, რომელშიც ის ცხოვრობს და ზოგ განსაკუთრებულ შემთხვევაში საზოგადოების ისტორიაშიც კი.

ერიკსონი თვლიდა, რომ გენერაციულობა კარგია როგორც საზოგადოებისთვის, ისე — ინდივიდისთვის. მისგან მიღებული სარგებელი, ერთი მხრივ, სოციალური ინსტიტუტების გაძლიერებასა და, მეორე მხრივ, კეთილშობილურ კულტურალურ ტრადიციებთან და პროგრესულ სოციალურ ცვლილებასთან ინდივიდის დაკავშირებაში უნდა დავინახოთ. ამასთან, გენერაციულობამ თავად გენერაციულ ინდივიდსაც უნდა მოუტანოს სარგებელი. ერიკსონისთვის გენერაციულობა მოზრდილ წლებში ფსიქოსოციალური მოწიფულობისა და ფსიქოლოგიური სინაქსალის მანიშნებელს წარმოადგენდა. ამას ემპირიული კვლევის მონაცემებიც ადასტურებენ. ვაილანტის (1977) განმეორებითმა კვლევამ აჩვენა, რომ გენერაციულობის მაჩვენებლები დადებითად კორელირებს სტრესისას კონსტრუქციული დამღევის სტრატეგიების გამოყენებასთან და ფსიქოსოციალური ადაპტაციის კლინიკურად მიღებულ ჯამურ მაჩვენებლებთან. ლოიოლას გენერაციულობის სკალისა და გენერაციული ქცევის ნუსხის გამოყენებით წარმოებულმა კვლევებმა (მაგალითისთვის იხ. De St. Aubin & McAdams, 1995) აჩვენა, რომ ეს საზომები ზომიერად დადებითად კორელირებს ცხოვრებით კმაყოფილების, ბედნიერების, თვითპატივისცემისა და ცხოვრებაში თანმიმდევრულობის განცდის თვითანგარიშის მაჩვენებლებთან და უარყოფითად — დეპრესიასთან.

2. კვლევის მიზანი/კითხვა და ჰიპოთეზები

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს იმის გარკვევას, თუ როგორ ახერხებენ სასჯელალსრულების სისტემიდან გამოსული ადამიანები ცხოვრების ახალი ინტეგრირებული იდენტობის ფორმირებასა და ახალი მნიშვნელობის შექმნას; კერძოდ, რა როლს ასრულებენ ამ პროცესში ისეთი ცვლადები, როგორცაა ავტობიოგრაფიული მსჯელობა, მოტივები და ნარატივის თემატური და სტრუქტურული ასპექტები. როგორ ახდენს ყოფილი მსჯავრდებული ახალი იდენტობის გენერაციული თხრობის კონტექსტში კონსტრუირებას.

ვვარაუდობთ, რომ გენერაციულობა კავშირში იქნება ავტობიოგრაფიულ მსჯელობასთან და ნარატივის კოჰერენტულობასთან ანდა მათ რომელიმე კომპონენტთან; ასევე, ნარატივის ზრდაზე ორიენტირებული თხრობის სტრუქტურა კავშირში უნდა იყოს ავტობიოგრაფიული მსჯელობის ისეთ კომპონენტთან, მნიშვნელობასთან.

ამრიგად, კვლევის ჰიპოთეზებია:

1. ავტობიოგრაფიული მსჯელობა ან მისი რომელიმე კომპონენტი დადებითად უკავშირდება ნარატივის კოჰერენტულობას ან მის რომელიმე კომპონენტს;
2. გენერაციულობა დადებითად უკავშირდება ავტობიოგრაფიულ მსჯელობას ან მის რომელიმე კომპონენტს; ამასთან, ეს კავშირი გაშუალებული უნდა იყოს ნარატივის ზრდაზე ორიენტირებული თხრობით ანუ პოზიტიური გადაწყვეტით;
3. გენერაციულობა დადებითად უკავშირდება ნარატივის კოჰერენტულობას ან მის რომელიმე კომპონენტს; ამასთან, ეს კავშირი გაშუალებული უნდა იყოს ნარატივის ზრდაზე ორიენტირებული თხრობით ანუ პოზიტიური გადაწყვეტით;
4. ზრდაზე ორიენტირებული ნარატივებში უფრო მეტად არის წარმოდგენილი ახალი მნიშვნელობის შექმნის კომპონენტი;

5. მოტივაციური თემებიდან ნარატივებში მეტად იქნება წარმოდგენილი ურთიერთკავშირის მოტივი, ვიდრე ძალაუფლების.

3. მეთოდი

3.1. კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია ისევე, როგორც გამოყენებული ანალიზის ტექნიკები, განსაზღვრულია კვლევის მიზნითა და ამოცანებით. კვლევა შესრულებულია შერეული მეთოდოლოგიით, კერძოდ, თვისებრივი მონაცემები დამუშავდა როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. კვლევისადმი ასეთი მიდგომა უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიაში (Gregg, 2007; McLean & Syed, 2016) და გაცილებით მდიდარ მასალას იძლევა, ვიდრე მხოლოდ ერთი კონკრეტული მიდგომით წარმოებული კვლევა.

ნარატიული მეთოდები განსაკუთრებით ეფექტურია სელფთან დაკავშირებული მნიშვნელობის შექმნის პროცესის საკვლევადა. მნიშვნელობისა და იდენტობის შესწავლისადმი სხვა მიდგომები შეიძლება იკვლევდნენ იმას, თუ რამდენად აქვთ მონაწილეებს განცდა, რომ მათ ცხოვრებას აქვს საზრისი, თუმცა პერსონალური ნარატივების შექმნით ადამიანები თვალნათლივ გვიჩვენებენ ამას. მაშასადამე, ნარატიული მეთოდები საზრისის ქონის აღქმის უბრალო ანგარიშს კი არ გვთავაზობენ, არამედ მის მოქმედებაში გამოხატვის, ერთგვარი „გათამაშების“ საშუალებას იძლევიან (ხეჩუაშვილი, 2017)

3.2. კვლევის მონაწილეები

3.2.1. სამიზნე ჯგუფის მოძიება და კვლევის მონაწილეების რეკრუტირება

კვლევის სამიზნე ჯგუფს ყოფილი მსჯავრდებულები შეადგენდნენ. პოტენციურ მონაწილეებთან დაკავშირება საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესი აღმოჩნდა. თავდაპირველად მკვლევრები დაუკავშირდნენ სახელმწიფო ორგანიზაცია სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრს“, რომელიც უშუალოდ ახორციელებს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამას⁹. თუმცა, ორგანიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, პროგრამის ბენეფიციარებთან წვდომა არ არის დაშვებული. პირველი მკვლევრის პირადი კონტაქტების გამოყენებით მოძიებულ იქნა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეპა პლიუსი“¹⁰, რომლის საქმიანობაშიც შედის საზოგადოების სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის სახელმწიფო სერვისების მიწოდება. ორგანიზაციის დირექტორთან შეთანხმებით ჩატარდა ფოკუს ჯგუფი ორგანიზაციაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებთან და დაიგეგმა ბენეფიციარებთან დაკავშირებისა და ინტერვიუების პროცესი.

3.2.2. კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობდა არააღბათურად, სოციალური მუშაკის რეკომენდაციით (77%), თვითშერჩევითა და „თოვლის გუნდის“ პრინციპით (23%) შერჩეული 14 ადამიანი, მათგან 7 ქალი (ასაკი 34-57 წელი)

⁹ <http://prevention.gov.ge/page/287/geo>

¹⁰ <https://www.facebook.com/HepaPlusOfficial/>

აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაწილეებს სასჯელს დაახლოებით მსგავსი დანაშაულის ჩადენისთვის ჰქონდათ მოხდილი, როგორცაა მარცვა, ქურდობა და ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვა/მოხმარება.

მონაწილეების 36% იყო დაოჯახებული, 25% — დასაოჯახებელი, 29% — განქორწინებული, 14% — ქვრივი. მონაწილეთა 35%-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება. მონაწილეთა 30%-ს ჰქონდა საშუალო შემოსავალი, ღარიბის კატეგორიაში მოხვდა — 36%.

3.3. ინსტრუმენტი

ცხოვრების ისტორიის ინტერვიუ (McAdams, 2006, 2016) — ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, რომელშიც რესპონდენტს თავდაპირველად სთხოვენ თავის ცხოვრებაზე, როგორც წიგნზე დაფიქრებას და მასში თავების გამოყოფას, დასათაურებას და თითოეულის მოკლედ აღწერას. შემდეგ მონაწილე აღწერს რვა კონკრეტულ მოგონებას (მათ შორის, დადებით, უარყოფით და გადამწყვეტ მოვლენებს), რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მეხსიერებაში, ან თვითგანმსაზღვრელ მოვლენებს შეიცავს. თითოეული ეპიზოდი რესპონდენტმა დეტალურად უნდა აღწეროს: ზუსტად რა მოხდა, ვინ იყო სიტუაციაში ჩართული, რას ფიქრობდა და გრძნობდა ია ამ მოვლენის განვითარებისას და რას უნდა ნიშნავდეს ეს მოვლენა მისი ერთიანი ცხოვრებისეული ისტორიის კონტექსტში. შემდეგ მონაწილეს სთხოვენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრების გამოწვევების შესახებ მოყვეს, აღწეროს ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი პერსონაჟები თავის ისტორიაში და ამბის მომავალი თავებიც მოხაზოს (სამომსავლო მიზნებისა და ოცნებების ჩათვლით); ასევე, ახსნას თავისი ღირებულებები და მათი განვითარების გზები. ინტერვიუს დასასრულს რესპონდენტს სთხოვენ, გადახედოს თავის მონათხრობს და გამოყოს ცენტრალური თემა ანუ შეტყობინება (Crossley, 2011; McAdams, 2006).

3.4. პროცედურა

ინფორმირებული თანხმობა. ინტერვიუს ჩაწერამდე კვლევის მონაწილეებს ინტერვიუერი აწვდიდა დეტალურ ინფორმაციასა და ინსტრუქციას ინტერვიუს შინაარსის, მიზნებისა და სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. ასევე, ანონიმურობისა და კონფიდენციალობის შესახებ საკითხებს. ამის შემდეგ, მონაწილეები ეცნობოდნენ ინფორმირებული თანხმობის ფორმას და ხელმოწერით ადასტურებდნენ თანხმობას.

ინტერვიუს ადგილი და დრო: ინტერვიუ საშუალოდ 80-90 წუთს გრძელდებოდა და ჩაიწერა 3 თვის განმავლობაში ორგანიზაცია „ჰეპა პლიუსის“ ოფისსა და რესპონდენტების ბინაში მათთვის სასურველ დროს.

3.5. ნარატივების კოდირება

კვლევის რაოდენობრივი ნაწილისთვის ცვლადების ოპერაციონალიზაციაზე შეთანხმების შემდეგ შემუშავდა კოდირების სახელმძღვანელო და ნარატივებში გადაკოდირდა ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა, მოტივაციური ასპექტები აგენტობა და ურთიერთკავშირი, ავტობიოგრაფიული მსჯელობა, კოჰერენტულობა და გენერაციულობა. კოდირების სანდოობის შესამოწმებლად გაკეთდა ორმაგი კოდირება და გადამოწმდა კოდირების სანდოობა.

გადაკოდირებული მოგონებები. თითოეული ცვლადისთვის ანალიზის ერთეულს წარმოადგენდა კონკრეტული მოგონება ანუ ეპიზოდი ცხოვრების ისტორიიდან.

თითოეული ინტერვიუდან გადასაკოდირებლად შეირჩა 12 მოგონება: პიკური გამოცდილება, უარყოფითი გამოცდილება, გარდამტეხი მოვლენა, ბავშვობის დადებითი მოგონება, ბავშვობის უარყოფითი მოგონება, ზრდასრულობის ცოცხალი მოგონება, სიბრძნის ეპიზოდი, გამოცდილება, ცხოვრების გამოწვევა, ჯანმრთელობის, დანაკარგის, მარცხისა და სინანულის ეპიზოდები. სულ გადაკოდირდა (12x14) 168 მოგონება. გენერაციულობის კოდირებისას დაემატა კიდევ სამი ეპიზოდი ცხოვრების ისტორიიდან: მომავლის თავი, ოცნებები და ცხოვრების გეგმა/პროექტი. ამ ცვლადისთვის სულ გადაკოდირდა (15X14) 210 მოგონება.

მაკომპენსირებელი თანამიმდევრობა. მოგონებები გადაკოდირდა მაკომპენსირებელი თანამიმდევრობის კოდირების გზამკვლევის ქართული მოდიფიცირებული ვერსიის მიხედვით (ხეჩუაშვილი, 2016c). ნარატივი ითვლებოდა მაკომპენსირებელი თანამიმდევრობის მქონედ და ენიჭებოდა კოდი „1“, თუ ექსპლიციტურად იყო გადმოცემული უარყოფითი ამბიდან/მოვლენიდან დადებითზე გადასვლა, ($k = .89$): კვლევის მონაწილის აზრით, (ა) უარყოფითი მოვლენა ან ეპიზოდი იწვევდა დადებით მოვლენას ან ეპიზოდს („ის 5 წელიწადიც რომ ვიჯექი ციხეში კი იყო, ბევრი ცუდი რამე მოხდა. ანუ წამებაც იყო იქ.. ყველაფერი, მაგრამ რაღაცა ეტაპზე ხო ჩემი თავიც უფრო გამოვცადე რაღაცებში.“) ან (ბ) უარყოფითი მოვლენა უშუალოდ დროში უსწრებდა დადებით მოვლენას („მქონდა ეგ მომენტი, მაგრამ ისიც ჯერ ცუდი იყო და მერე კაი იყო. ფეხები მქონდა მომტვრეული დაა.. სახლში რომ ვიწექი გადაბინტული ფეხებით, მათგან ყურადღების ქვეშ ვიყავი“). თუ ნარატივში ასეთი თანამიმდევრობა არ იყო, ნარატივს ენიჭებოდა კოდი „0“.

ავტობიოგრაფიული მსჯელობა გადაკოდირდა რამდენიმე კომპონენტის მიხედვით (McLean, 2008; Pasupathi & Mansour, 2006): სელფ-მოვლენა კავშირები (სელფ-სტაბილობა ან სელფ-ცვლილება); მოვლენა-მოვლენა კავშირები; რეფლექსიული გადამუშავება ანუ საზრისის დახვეწილობა.

ნარატივში ფიქსირდებოდა სელფ-მოვლენა კავშირის არსებობას, როდესაც მთხრობელი ექსპლიციტურად აღნიშნავდა რაიმე სახის კავშირის არსებობას მოყოლილ მოგონებასა და სელფს შორის. ამრიგად, ჯერ ფიქსირდებოდა, იყო თუ არა (ქვემოთ ჩამოთვლილთაგან) რომელიმე სახის კავშირი ნარატივში და შემდეგ ენიჭებოდა შესაბამისი კოდი: „0“ - არ არის რაიმე სახის კავშირი, „1“ - არის რაიმე სახის კავშირი. თუ არ არის კავშირი, სრულდებოდა მოცემული სცენის/ეპიზოდის კოდირება. თუ იყო კავშირი, მაშინ ეპიზოდი ფასდებოდა ქვემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების მიხედვით: (1) ნარატივში ფიქსირდებოდა სტაბილობის მაჩვენებელი ანუ ახსნითი კავშირი, თუ ის სელფის სტაბილური ასპექტის ახსნას გვთავაზობდა („რას ამბობს ეს ეპიზოდი ჩემს ცხოვრებაზე [...] ალბათ უფრო იმას ამბობს, რომ რაღაც პასუხისმგებლობის ალება შემძლია, ანუ ჩემ გადაწყვეტილებაზე პასუხი ვაგო.“) ($k = .85$); (2) ნარატივში ფიქსირდებოდა ცვლილების შემცველი კავშირი, როდესაც მოთხრობილი მოვლენა რაიმე სახის ცვლილებას იწვევდა მთხრობელში („უფრო მეტი სიფრთხილისკენ მიბიძგა, რომ ან იქნებ მანამდე მომეფიქრებინა, რომ ის ადამიანი არ გადამიხდიდა, მანამდე შემეფასებინა და რაღაცნაირად, ასე ვთქვათ, თავი დამეცვა, სანამ ის ფქტი უკვე მოხდებოდა. აქედან გამომდინარე ალბათ უფრო მეტი ყურადღება, უფრო მეტი დაკვირვება, უფრო მეტი სიფრთხილე გამომიმუშავა.“). ($k = .85$).

ნარატივში, ასევე, ფიქსირდებოდა მოვლენა-მოვლენა კავშირები. მოვლენა-მოვლენა კავშირები განისაზღვრება, როგორც მოვლენებს შორის ექსპლიციტური კავშირები. ეს

კავშირები ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ მივყავართ ერთ მოვლენას მეორემდე, ან როგორ ქმნიან მოვლენები საერთო თემას. ნარატივში მოვლენა-მოვლენა კავშირს ენიჭებოდა შესაბამისი კოდი: „0“ - არ არის რაიმე სახის კავშირი, „1“ - არის რაიმე სახის კავშირი. ($k = .89$).

რეფლექსიური გადამუმავება ანუ მნიშვნელობის დახვეწილობა იყო კიდევ ერთი კომპონენტი, რომლის მიხედვით გადაკოდირდა ავტობიოგრაფიული მსჯელობა. საზრისის დახვეწილობა, თავის მხრივ, კიდევ იყოფა რამდენიმე კომპონენტად: (1) მნიშვნელობის არარსებობა — თუ ნარატივში საერთოდ არ იყო ნახსენები აღწერილი მოვლენის მნიშვნელობა ანუ მთხრობელი არ გვიხსნიდა რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ამბავს მისთვის, ეპიზოდს ენიჭებოდა კოდი „0“ ($k = .92$); (2) გაკვეთილი — თუ ნარატივში ნათქვამი იყო, რომ მთხრობელმა მომხდარი ამბიდან რაიმე ისწავლა და ეს გაკვეთილი იყო მისთვის, ეპიზოდს ენიჭებოდა კოდი „1“. (3) ბუნდოვანი მნიშვნელობა — თუ ნარატივში აღწერილი იყო გარკვეული ზრდა ან ცვლილება სელოფში, მაგრამ არ იყო დაკონკრეტებული, რა ცვლილებაზე იყო საუბარი, ეპიზოდს ენიჭებოდა კოდი „2“. (4) ინსაიტი — თუ ნარატივში აღწერილ მოვლენას ექსპლიციტურად სცილდებოდა ინდივიდის მიერ საკუთარი თავის, სამყაროს ან ურთიერთობების გაგება, ეპიზოდს ენიჭებოდა კოდი „3“.

კოჰერენტულობა ანუ ნარატივის თანმიმდევრულობა სამი კომპონენტის მიხედვით ფასდებოდა (Reese, et al., 2011; McLean, et al., 2016). ესენია: კონტექსტი, ქრონოლოგია და თემა. თითოეული კომპონენტი 3 ქულიან სკალაზე იზომება, სადაც „0“ ნიშნავს კომპონენტის სრულიად არარსებობას და „3“ – სრულად წარმოდგენილ კომპონენტს. კონტექსტის კომპონენტი მოვლენას კონკრეტულ დროსა და ადგილზე ათავსებს ($k = .92$); ქრონოლოგია გვიჩვენებს, რამდენად არის მოცემული ნარატივი დროში ორგანიზებული (ტემპორალური გამართულობა) ($k = .83$); თემა აფასებს, რამდენად ნათლად არის წარმოდგენილი ნარატივის თემა ($k = .82$).

გენერაციულობის შემთხვევაში (Stewart, 1988) ნარატივების კოდირებისთვის შეიქმნა გზამკვლევის ქართული ვერსია, რომლის მიხედვითაც გენერაციულობა გადაკოდირდა 3 ძირითადი თემის მიხედვით: შექმნა, შენახვა და შეთავაზება. ითვლებოდა, რომ ნარატივში იყო შექმნის თემა და ენიჭებოდა კოდი „1“, თუ ექსპლიციტურად იყო გადმოცემული მთხრობლის გენერაციული ინტენცია ან ქმედება ადამიანებისთვის, საგნებისა და შედეგებისთვის სიცოცხლე მიენიჭებინა („ან ღმერთი მომცემს ბავშვს, ან ვიშივლებ, ყველა ვარიანტში თან მინდა გოგო ისევ. რაც კარგია დაინახავს იმას ჩემში და იმას გადაიღებს ის ბავშვი და ისწავლის“) ($k = .88$); კოდი „2“ ენიჭებოდა ნარატივს, რომელშიც აღწერილი იყო გენერაციული ინტენცია ან ქმედება შენარჩუნების, შენახვის, დაცვის, მოფრთხილებისა და კულტივირების თემებში. იქნებოდა ეს ბავშვების აღზრდა, კარგი ტრადიციების შენარჩუნება, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ თაობებს და დროში უწყვეტობას უზრუნველყოფენ (Erikson, 1982) ($k = .92$); შეთავაზების კოდი „3“ იწერებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეპიზოდში გენერაციული ინტენცია ან ქმედება მოიცავდა იმის დაუნახებლად შეთავაზებას, რაც შეიქმნა და შენარჩუნდა, ანუ მომავალი თაობისთვის რაიმეს ან ვინმეს საჩუქრად გადაცემას იმ პირობით, რომ ეს საჩუქარი საკუთარ ავტონომიასა და თავისუფლებას შეინარჩუნებდა (McAdams, 1985). („მე ყველანაირად ხელს შევუწყობ, მარა მინდა რო თავისით მიაღწიოს, დამოუკიდებელი ბიჭი რომ იყოს და თავისით მიაღწიოს ყველაფერს. და მაგისთვის ყველანაირი პირობის შექმნაზე ვოცნებობ“) ($k = .85$).

3.6. თემატური ანალიზი

თემატური ანალიზის მეშვეობით ნარატივებში გამოდიფერენცირდა ის საკითხები, რომლებიც ყველა ან უმრავლეს ინტერვიუში იყო აღწერილი. შემდეგ მოხდა თითოეული თემის სახელდება.

4. თვისებრივი კვლევის შედეგების აღწერა და ანალიზი

4.1. ზოგადი დაკვირვებები

პირველ რიგში, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას შერჩევის სპეციფიკური ხასიათის შესახებ. ვინაიდან (ა) კვლევის მონაწილეები ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, საკუთარი სურვილით ერთვებოდნენ კვლევაში, (ბ) კვლევაში მონაწილეობა არ ითვალისწინებდა არანაირ მატერიალურ სარგებელს ანუ მონაწილეობისთვის ისინი არ იღებდნენ ანაზღაურებას და (გ) ყველა მათგანი ზემოთ ხსენებულ ორგანიზაციაში იყო დასაქმებული ანუ პრაქტიკულად უკვე მეტ-ნაკლებად დაწყებული ჰქონდათ რესოციალიზაციის პროცესი, მოსალოდნელი იყო კიდევ მათგან გენერაციული თხრობის კონტექსტში წარმოდგენილი ცხოვრების ნარატივის მიღება. სხვა სიტყვებით, სხვებისთვის მაგალითის მიცემა, საკუთარი შეცდომების გაზიარება სხვა ადამიანების გაფრთხილების მიზნით და საზოგადოებისთვის სასარგებლოდ შრომა უკვე მიუთითებს გენერაციულობაზე. ისინი ექსპლიციტურად საუბრობდნენ ამაზე ინტერვიურ მსვლელობისას.

ასე რომ, წარმოდგენილი კვლევის შერჩევა პოტენციურად გენერაციული და საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის მზად მყოფი ადამიანებისგან შედგებოდა. მათ, ვისთანაც ასეთი მისწრაფებები არააქტუალური იყო, უარი თქვეს კვლევაში მონაწილეობაზე.

როგორც თავად აღნიშნავდნენ, კვლევის მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებაში ინტეგრაცია და სხვებისთვის გამოცდილების გაზიარება:

მე მაქვს საშუალება, საზოგადოებას გავაგებინო, რა დანაკარგი განვიცადე და ჩემი ხმა ვიღაცისთვის შეიძლება წამალი იყოს, მე მზად ვარ, ის სახეც გამოვაჩინო... თუ ჩემი ამ განვლილი ცხოვრების მოყოლით რაღაცით, თუნდაც სიტყვიერი სიმშვიდით დავუდგები ამა თუ იმ დაცემულ ადამიანს (ქალი, 35 წ).

უფრო იმიტომ დავთანხმდი, რომ მე კი არ.. როგორ გითხრა.. მე კი არ მჭირდებოდა, ვთქვით, რომ ჩემი ამომელო; იმიტომ დავთანხმდი, თუ გამოადგება, ალბათ, ვინმეს. მართლა მინდა რა, ალაღად მინდა, რომ.. შეიძლება ვიღაცა.. ისეთი კვლევა დაიდოს, რომ ვიღაცას საერთოდ აზრი შეაცვლევინოს და საერთოდ აღარ წავიდეს იქითკენ (მამაკაცი, 34 წ).

ასევე, ნარატივების ანალიზისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ რესპონდენტები, რომლებიც ციხეში სასჯელის მოხდაში რამე ტიპის სარგებელს ხედავენ, გათავისუფლების შემდეგ საქმიანობაში მეტად პროდუქტულები და ბრძოლისუნარიანები არიან. ისინი იმაზეც საუბრობენ, რა გზას უნდა დაადგეს ადამიანი, რათა თავიდან აიცილოს უკან დაბრუნება და იმ ჩაკეტილ წრეზე უსასრულოდ სიარული, რომელსაც მარუნა (1997) აღწერს თავის მოდელში.

ადამიანი როცა მორჩება იმ სასჯელს, რაც მიუსაჯეს, პირველი რაც არის, ცხოვრება უნდა დაიწყოს თავიდან და ის ყველა შენი შეცდომა უნდა დაჯდე და

განალიზო. ბევრ ადამიანს გარეთ გამოსვლის შემდეგ ყველაფერი ავიწყდება, რაც იქ გაიარა. წამება, ჩხუბი... ის არც მე არ მახსოვს, მაგრამ ძირითადი ხომ მახსოვს არა? ანუ რატომ გავიარე, რა გავიარე და ყოველთვის ვფიქრობ იმაზე. ციხეში წასვლის არ მეშინია, არასდროს არ მშინებია, თორემ არც წავიდოდი, მაგრამ ისე უნდა წაიყვანო შენი თავი, რომ ანალოგიურ სიტუაციაში აღარ მოხვდე. ანუ, პირველ რიგში, ანალიზი უნდა გაკეთდეს შენი პრობლემების, შენი შეცდომების (მამაკაცი, 35).

4.2. თემატური ანალიზი

რესპონდენტების ნაწილი აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, ნაწილი -- არა. ამის მიუხედავად, ყველა მათგანისთვის სასჯელის ციხეში მოხდა ტრავმული გამოცდილება. ზოგიერთი ამ გამოცდილებას ჯოჯოხეთადაც კი მოიხსენიებს:

მოხდა გაურკვეველობა. აღმოვჩნდი საპრობილეში. რომელმაც საერთოდ ყველაფერი წაშალა ჩემი განვლილი ცხოვრების და გადადიხარ რაღაც, რო იტყვიან.. ჯოჯოხეთი შემძლია ვუწოდო იქაურობას რა (ქალი, 57 წ).

ავტობიოგრაფიული მსჯელობა ციხეში მოხვედრისთანავე იწყება. მონათხრობების უმრავლესობაში ჩანს, რომ რესპონდენტები სიტუაციის შეფასებასა და გარემოსთან ადაპტაციას მალევე იწყებენ. რა თქმა უნდა, ყველა ასე არ იქცევა და ყველა ნარატივი ასეთი არ არის, თუმცა, მათ ნარატივებში, ვინც უშუალოდ ციხეში ყოფნის გამოცდილებაზე საუბრობს, ვხვდებით მაკომპენსირებული თანმიმდევრობით თხრობას. სხვა სიტყვებით, ეს ადამიანები ყვებიან იმ „სიკეთეებზე“, რაც ციხეში ყოფნის დროს მიიღეს, რაც ზოგიერთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო:

ერთი გაუბედურებული ქალი ვარ–მეთქი და რისთვის მაპატიმრებთ–მეთქი. ჰოდა არაო, მინდაო, რო კარგად იყო. შენ მაგას ვერ გადაიტანდიო და იქო შეგიწყობენო ყველანაირად ხელსო, რო მოერიოო ამ სატკივარსო რა. და ისე.. ეგრე რომ არ ყოფილიყო, მე მართლა მოვკვდებოდი. ისე ძალიან ცუდად ვიყავი. 38 კილოდა ვიყავი დარჩენილი. [...] მე არც ბანაობა.. თან ჩემი თმა ნახე, როგორ უნდა დავივარცხნო. დამვარცხნეს, მახანავეს გოგოებმა. ორს ვეჭირე ხელში, მესამე მახანავებდა. რა ვიცი.. მერე უკვე გამოვედი ნელა–ნელა (ქალი, 36 წ.)

ზოგი მთლიანად გადაერთო ციხის გარემოზე და იქ შექმნილი კონფლიქტების მოგვარებაზე, რამაც, საბოლოოდ, გააძლიერა და მათი ნარატივის თხრობაც მაკომპენსირებული თანმიმდევრობით ლაგდება:

მოვწყვდი ყველაფერს და იქაური ცხოვრებით დავიწყე ცხოვრება. სხვანაირად ვერ გადარჩები იქ. ...ბევრი რაღაც მომცა იქ ყოფნამ. მტერს არ ვუსურვებ იქაურ გამოციდლებას, მაგრამ... მაგალითად, ჩემთვის უკვე მართლა ცხოვრების აზრად იქცა ის სიტყვები: რაც არ მკლავს, მაძლიერებს. მართლა ეგრეა იმიტომ, რომ ისეთი 5 წელი გავიარე... კიდევ ვერ გადმოვცემ და პრინციპში არ არის საჭირო, რომ გადმოვცე დეტალურად. გამაძლიერა, რადგან ისეთი ენთუზიაზმით ვარ... იმიტო, ვამბობ, რომ არ არსებობს ჩემთვის პრობლემა, რომ მე ვერ მოვაგვარო და გადავწყვიტო. არ ვიცი, რა უნდა მოხდეს იმის გარდა, რომ... სიკვდილს მე ვერაფერს ვუზამ, თორემ... (კაცი, 35 წ.)

ზოგიერთმა რესპონდენტმა ციხეში ყოფნა იმის შესაძლებლობად მიიღონ, რომ სხვებთან ურთიერთობით მეტი გამოცდილება შეეძინა:

იქ მარტო მე არ ვიყავი არც კარგი და არც ცუდი. ყველა იყო იქ კარგიც იყო ცუდიც. საშუალოც იყო, თუმცა მე ყოველთვის იმას ვცდილობდი, რომ ჩემზე დიდ ადამიანებთან მქონოდა ურთიერთობა, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონეებთან და კარგი განათლების ადამიანებთან, რომ იმათგან ის კარგი ამელო და ის კარგი მქონოდა (ქალი, 34 წ.).

საინტერესოა, რომ, როგორც ჩანს, სასჯელალსრულების სისტემაში ყოფნის პერიოდის ხანგძლივობას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა *პიროვნული ზრდის ამსახველი ნარატივის* კონსტრუირებისთვის. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მხოლოდ ოთხი თვე დაჰყო ციხეში, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ის პიროვნული ზრდისთვის გამოეყენებინა:

ერთი მხრივ, ნამეტანი უარყოფითი ფაქტი იყო და შეიძლება ითქვას, რომ შემაფერხებელი უნდა ყოფილიყო თუნდაც ჩემი მომავალი განვითარებისათვის, თუმცა რაღაც მომენტში, ალბათ, პირიქით, რაღაც უფრო მეტი გამოწრთობაც მივიღე. იქიდან გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო მეტი მონდომებით შევეცადე თუნდაც იგივე ჩემ თავზე მუშაობას, თუნდაც იგივე განვითარებას, სამსახურის მოძიებას და სწორედაც, აი, მას შემდეგ, რაც ერთი სამსახური ვიშოვე და მეორე ვიშოვე და არ გავჩერდი (მამაკაცი, 37 წ.).

სასჯელალსრულების სისტემაში ყოფნის შესახებ მაკომპენსირებელი სტრუქტურით თხრობა ანუ პიროვნული ზრდის ნარატივი გვხვდება 6 რესპონდენტთან (43%). მათ მოახერხეს ციხის ნეგატიური გამოცდილების მიუხედავად, დაენახათ პიროვნული განვითარების შესაძლებლობები. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

ამდენ წიგნს გარეთ ნამდვილად ვერ წავიკითხავდი. ხარ სრულიად ჩაკეტილი დილიდან საღამომდე. ძალაუნებურად კითხულობ და ძალიან ბევრი რამე კითხვით შევიძინე. მერე იქ არის კარგად მოაზროვნე ადამიანებიც, ვისგანაც შეგიძლია, ბევრი რამე ისწავლო (ქალი, 57 წ.).

უარყოფითი გამოცდილების მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით თხრობისას, რესპონდენტები არ საუბრობენ სოციალურ გარემოზე. ანალოგიური დაკვირვება შეიძლება ინახოს ლივერპულის დანაშაულისგან დისტანცირების კვლევაში (Maruna, 2001), რომელშიც რესპონდენტები ნაკლებად საუბრობენ კრიმინალური კარიერისგან თავის დაღწევის პროცესში სოციალურ მექანიზმებზე. როგორც მიშკოვიცი (Mischkowitz, 1994. ციტირებულია წყაროში Maruna, 2001) აღნიშნავს, სოციალური მუშაკები ხშირად მიაწერენ ყოფილი მსჯავრდებულების ქცევის ცვლილებას გარეშე ფაქტორებს (მეუღლეები, სამსახური, ან გეოგრაფიული მდებარეობა), თუმცა თავად ყოფილი მსჯავრდებულები ქცევის ცვლილების მიზეზად საკუთარ „თავისუფალ ნებას“ ასახელებენ.

სოციალური გარემო და ახლობელი ადამიანები, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი როლია ინტეგრირებული ცხოვრებისეული ნარატივის აგებისას. არა მხოლოდ ყოფილი მსჯავრდებული უნდა მოერგოს ნორმატიულ სოციალურ გარემოს, არამედ ნორმატიულმა სოციალურმა გარემომ უნდა მიიღოს კიდევ ყოფილი მსჯავრდებული (Meisenhelder, 1982. ციტირებულია წყაროში Maruna, 2001). თუმცა, ახლობელი ადამიანები ყოველთვის არ არიან ჩართული ყოფილი მსჯავრდებულის რეინტეგრაცია/რესოციალიზაციის პროცესში. 14-დან 6 რესპონდენტი (43%) საუბრობს ოჯახის დანგრევაზე და ამის ძირითად მიზეზად პატიმრობას ასახელებენ:

...რომ ჩავჯექი, მალევე დამენგრა ოჯახი. გარეთ რომ ვყოფილიყავი, ოჯახი არ დამენგროდა ანუ მაგის თქმა მინდა. ...შენ ფიქრობ, გარეთ რომ ვყოფილიყავი, რაღაცას შეცვლიდი და არ დაინგროდა (მამაკაცი, 35 წ.).

მეუღლე... პირველი მეუღლე, დანაკარგი... ახლაც მიყვარს.. რა ვიცი... იმდენი წელია, 23 ვიცხოვრეთ ერთად და ახლა თქვენ თვითონ თქვით, დანაკარგი არაა? 23 ცოტა არ არის. 350 ლოცვას გულში ვლაპარაკობდი ყოველ დღე 7 წლის განმავლობაში... ბოლოს გამოდიხარ და ოჯახი გენგრევა (მამაკაცი, 51 წ.).

ცოლმა ჩააბარა იურიდიულზე. ჩემი გამოსვლისას წითელი დიპლომი მაჩვენა და ფიქტიური ის უნდა გვაკეთოთო ანუ... არ შეიძლებოდა, რომ მეუღლე ჰყოლოდა ნაციხარი და გავეყარე, რა თქმა უნდა. იმის შემდეგ მორჩა ჩემი ცხოვრება. ჯერ მანამდე ხომ მორჩა იმ ციხეში და მერე ეს (მამაკაცი, 46 წ.).

მიუხედავად ამისა, რესპონდენტების ნარატივებში წამყვანი *მოტივაციული თემები* მაინც სხვა ადამიანებს, მათთან ახლო კავშირებსა და თბილ დამოკიდებულებებს უკავშირდება. მოტივაციური თემებიდან ჭარბობს ურთიერთკავშირისა და ინტიმურობის თემები. მოგონებათა ნახევარზე მეტი (57%) სხვა ადამიანებთან, უპირატესად, ოჯახის წევრებთან ანუ მშობლებთან, შვილებთან და პარტნიორებთან ურთიერთობებს შეეხება:

ვერ წარმომედგინა, თუნდაც ის ერთი წელი ციხეში ყოფნა ამ ბავშვის დაუნახავად და ყოველთვის ვცდილობდი, ის არ ჩამედინა, რომ კვლავ ციხისკენ გამეხედა (ქალი, 35 წ.).

ინტიმურობისა და ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები პრაქტიკულად ყველა მოგონებაში ჩანს: როგორც უარყოფით ეპიზოდებში, დანაკარგსა და მარცხში, ასევე დადებით და გარდამტეხ მოგონებებში. ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები ყველაზე გამოკვეთილი მომავლის თავებშია ანუ იქ, სადაც რესპონდენტები მომავლის გეგმებსა და მიზნებზე საუბრობენ. ეს ეპიზოდები ყოველთვის უკავშირდება სხვა ადამიანებთან თანაცხოვრებას, სხვებზე ზრუნვასა და რაიმე ახლის შექმნას, რაც მოიაზრებს გენერაციულობასაც.

გენერაციულობა ზემოთ აღწერილ თეორიულ მოდელში შედეგის ცვლადია. წინამდებარე კვლევაში გენერაციულობა აღებულია, როგორც წარმატებული რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ინდიკატორი, ვინაიდან გენერაციული ინდივიდები უაღრესად ჩართულნი არიან თავიანთ სამუშაოსა და ახალი თაობის აღზრდაში. ასევე, მათ ფართო საზოგადოებრივი საკითხებიც აინტერესებთ. ისინი ტოლერანტულები არიან სხვადასხვა იდეისა და ტრადიციისადმი და შეუძლიათ საკუთარ თავსა და სხვებზე ზრუნვასა და ანგარიშის გაწევას შორის ბალანსის შენარჩუნება (Kroger & Marcia, 2011).

გენერაციულ თხრობას რესპონდენტები ციხეში ყოფნის გამოცდილების გახსენებისასვე იწყებენ და ეს არ უკავშირდება მაინცდამაინც სასჯელაღსრულების სისტემიდან გათავისუფლებას. სხვების დაცვა, მათზე ზრუნვა და მოფრთხილება ერთ-ერთი წამყვანი თემაა ციხის ეპიზოდების თხრობისას:

მეც სულ რას ვფიქრობდი, იცი, ქალი რომ ყვირის და შველას ითხოვს, ყველა მამაკაცს უჩნდება განცდა, რომ დაეხმაროს და, აი, კაცი რომ კივის განწირულად, ყველა მამაკაცი ითრგუნება. დაუმორჩილებელი ვიყავი და იმით მაწვალებდნენ, რომ იცოდნენ ჩემი ხასიათი. სულ სხვისი გულისთვის მომდიოდა ჩხუბი

თანამშრომლებთან. ხოდა, ვილაცას გამილახავდნენ თვალწინ და რომ ვერ ვეხმარებოდი, ან სიტყვას ვერ ვაწევდი, მაგით ძალიან მოქმედებდნენ ჩემზე (მამაკაცი, 35 წ.)

გათავისუფლების შემდეგ რესპონდენტები ცდილობენ, აანაზღაურონ ციხეში ყოფნით გამოწვეული დანაკარგი მათთვის ყველაზე ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობაში:

ამასაც გავაკეთებ, რომ ჩემს შვილებს ავუნაზღაურო ის დანაკლისი და რაღაცით შევუმსუბუქო თუნდაც ფინანსურად და წავედი მოსკოვში (ქალი, 57 წ.).

ყველანაირად ხელს შევეუწყობ, მაგრამ მინდა, თავისით მიაღწიოს, დამოუკიდებელი ბიჭი იყოს და თავისით მიაღწიოს ყველაფერს და ამისთვის ყველანაირი პირობის შექმნაზე ვოცნებობ (მამაკაცი, 35 წ.).

გენერაციულ თხრობაში მომავლის გეგმებსაც ვხვდებით. რესპონდენტების ნაწილს (21%) პარტნიორთან შვილის ყოლის სურვილი აქვს, რაც გენერაციულობის ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს (McAdams, Hart & Maruna, Stewart, Franz & Layton, 1988):

ისევ ოჯახთან ასოცირდება რა მაინც, ბავშვი. ბავშვი გვინდა (ქალი, 35).

ან ღმერთი მომცემს ბავშვს, ან ვიშვილებ, ყველა ვარიანტში თან მინდა გოგო ისევ. რაც კარგია, დაინახავს იმას ჩემში და იმას გადაიღებს ის ბავშვი და ისწავლის (მამაკაცი, 44 წ.).

რესპონდენტების ნაწილი კი უკვე არსებულ შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნავს, ხანდახან პირად ინტერესებზე უარის თქმით:

ნანუკას შოუმი უნდოდათ, რომ გამოვსულიყავი და უარი ვთქვი მისი გულისთვის. ხოდა, შვილიშვილები. არ მინდა იმათი კლასელების მშობლების ყურამდე მივიდეს, რომ მე მაგას მოვიხმარდი; რომ პატიმარი ვიყავი (ქალი, 36 წ.).

უნდა აღინიშნოს, რომ 14 რესპონდენტიდან 5 სოციალური მუშაკის პოზიციაზე მუშაობს, ხოლო ერთი გაწევრიანებულია პოლიტიკურ ორგანიზაციაში და დასახლების კონკრეტულ უბანზეა პასუხისმგებელი. მის თხრობას ლეიტმოტივად გასდევს გენერაციული ზრუნვა სხვებზე:

მე თვითონ უბნის უფროსი ვარ. დავდივარ უბნებში. ვისწავლე სხვანაირი მიდგომები, გავთვიცნობიერდი იმაში, რომ თურმე შეიძლება სახელმწიფო რაიმე ამბავში დაგეხმაროს, გზები ვისწავლე და იმისიც აღარ მეშინია, რომ ვენდო ამ ხელისუფლებას. ვზრუნავ სხვებისთვის. მით უმეტეს, ეთნიკური უმცირესობის უბანია ჩემი და ყველას ყველანაირად ვეხმარები. ჩემი ხელით მიმიტანია... აი, განცხადება დაწერეთ და თქვენ თუ არ შეგიძლიათ, მე ჩავიტან და ჩავაბარებ. აი, ამას ყველაფერს ვუკეთებ და ნამდვილად კმაყოფილები არიან ჩემით. იცით რა არის, ცხოვრებაში ამდენ გასაჭირს რომ გაივლი და ამდენ რაღაცას, უფრო ღმობიერი ხდები, უფრო კეთილი (ქალი, 57 წ.).

6 რესპონდენტის (43%) საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება სხვა ადამიანების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც ეხმიანება ლივერპულის დანაშაულისგან დისტანცირების კვლევას (Maruna, 2001), რომელშიც რესპონდენტები საუბრობენ გენერაციულ ქმედებებსა და ინტენციებზე იმ დახმარების სანაცვლოდ, რომელიც წარსულში თავად მიიღეს რეინტეგრაციაზე მომუშავე სოციალური მუშაკებისგან,

მოხალისეებისა და სხვა ადამიანებისგან. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევის ფარგლებში რესპონდენტები პირდაპირ თითქმის არ საუბრობენ სიამაყისა და ღირსების განცდაზე, ყოფილ მსჯავრდებულებს სხვების დახმარება საკუთარი თავის ღირებულად განცდას ანიჭებს (Braithwaite & Mugford, 1994). ერთი შეხედვით უცნაურია, მაგრამ სხვების დახმარებით ყოფილი მსჯავრდებულები ისევ საკუთარ თავს ეხმარებიან (Brickman, 1982). თითქოს თავისუფლებიან ჩადენილი დანაშაულის განცდისგან და საზოგადოებას ვალს უბრუნებენ.

ამრიგად, ნარატივების ანალიზმა აჩვენა, რომ ავტობიოგრაფიული მსჯელობა საკუთარი ცხოვრების მიმართულების შესახებ ციხეში მოხვედრისთანავე იწყება. რესპონდენტები საუბრობენ სასჯელადსრულების სისტემის სირთულეებთან გამკლავების ბერკეტებზე. ბევრ შემთხვევაში პოზიტიურად აფასებენ ამ გამოცდილებას, რაც მაკომპენსირებელი სტრუქტურით თხრობის სახით ვლინდება. ყველაზე არასიამოვნო გამოცდილებაში პოზიტივის პოვნა მომავლის დაგეგმვაში ეხმარებათ. მოტივაციური ხაზი, ძირითადად, სხვა ადამიანებთან დაახლოებისა და ურთიერთკავშირის თემებში ვლინდება. ყოფილი მსჯავრდებულები ისწრაფვიან ახლო სოციალურ კავშირებზე და, ასევე, ზრუნავენ გარშემომყოფებზე. ნარატივში ჩნდება გენერაციული ქმედები ელემენტები როგორც ახლობელი, ასევე სრულიად უცხო ადამიანების მიმართ. რამდენიმე მათგანი (29%) ექსპლიციტურად გამოხატავს სურვილს, გახდეს წარმატების როლური მოდელი სხვებისთვის.

5.2. ნარატივებში წარმოდგენილი სხვა მნიშვნელოვანი თემები

გარდა იმ ძირითადი ცვლადებისა, რაც ზემოთ მოცემულ მოდელში იყო წარმოდგენილი, თემატურმა ანალიზმა კიდევ რამდენიმე ძირითადი თემა გამოავლინა: ოჯახი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები, სპორტული ცხოვრება მოზარდობის პერიოდში, სპონტანური დაოჯახება, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება, რეინტეგრაციის სირთულეები და ცხოვრება ქუჩაში.

5.2.1. ოჯახი

ცხოვრების ისტორიებში რესპონდენტები საუბრობენ ოჯახსა და ოჯახის წევრებთან ურთიერთობებზე. ძალადობა ოჯახში ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორია ქალებისა და კაცებს შორის. ინტერვიუების უმეტესობაში მამაკაცები მშობლებზე, როგორც მხარდამჭერ პიროვნებებზე, ისე საუბრობენ. ადრეული ასაკიდანვე გრძნობენ მათ მხარდაჭერას: „მამაჩემი არაფერს გვაკლებდა მე და ჩემს ძმას“ (მამაკაცი, 32 წ.) მაშინ, როცა ქალები, ძირითადად, ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობაზე საუბრობენ:

სიმართლე გითხრა, არც ყოფილა ბავშვობა იმიტომ, რომ მამაჩემი იყო პათოლოგი. დედას რომ გამოვესარჩლებოდი და დავიცავდი, მერე ჩემზე გადმოდიოდა იერიშზე და მიდიოდა იქ ჩხუბი და მთელი ამბები. ორი წლის წინ ბოლო ესეთი კონფლიქტის დროს ვეღარ მოვითმინე, პატრული გამოვიძახე და ვუთხარი, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტი იყო (ქალი, 35 წ.).

საუბრობენ როგორც მამის, ისე — დედის მხრიდან ძალადობაზე.

მოვიდა დედაჩემი და გრძელი თმები მქონდა ხოლმე სულ და თმებში წამავლო ხელი, ეგ არ დამავიწყდება არასოდეს. თმებში წამავლო ხელი და მთელი გზა თმებით წამათრია სახლში. მართლა წამათრია და სახლში რომ მივედი, მაგრად მეჩხუბა, გამლანძლა, მიწასთან გამასწორა (ქალი, 34 წ.).

მშობლების გარდა, რესპონდენტები საუბრობენ ბებიებზე, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში მთხრობელს ბებიასთან განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება აქვს. ნარატივების უმრავლესობაში ბებია მთხრობელისთვის მხარდამჭერი და მზრუნველი პიროვნებაა:

ჩემი უსაყვარლესი ბებია, რომელიც ჩემთვის მფარველი ანგელოზი იყო. ასე რომ, ჩემში თუ ბევრი კარგი დევეს დადებითი, ბებიაჩემის დამსახურებაა. იმდენად ვუყვარდი, რომ მეთქვა საწამლავე წამალია-მეთქი, დალევდა. იმდენად თავისუფალი ვიყავი ბებიაჩემთან და იმდენად გახსნილი ვიყავი... მაგდენად არც მამაჩემთან და დედაჩემთან ვყოფილვარ გახსნილი. ჩემი მეორე კი არა, პირველი დედა იყო (მამაკაცი, 44 წ.).

ბებია მდამინახა თითზე ბეჭდი არ მეკეთა, თავის ბეჭედი მომცა და სირცხვილიაო, ხალხი რას იტყვისო. თბილისიდან სად გადაიკარგაო და ბეჭედიც არ უკეთაო და ეს ბეჭედი გაიკეთაო და ბეჭედი ბებია მამიკეთა... კი, ბებიას გამო ჭკუა მეკეტებოდა და ძალიან მიყვარს დღესაც, მიუხედავად იმისა, რო აღარ არის (ქალი, 35 წ.).

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევაში ნანახი, ბებიებისადმი გამორჩეული დამოკიდებულება სხვა კვლევაშიც იკვეთება, კერძოდ, ბებიებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ არაჰეტეროსექსუალი ადამიანების ცხოვრების ისტორიებში (გოგიჩაიშვილი, ხეჩუაშვილი, მესტვირიშვილი, 2016). მთხრობელები ხშირად საუბრობენ ბებიებზე, როგორც მიჯაჭვულობის ობიექტზე, დამცველზე ან მნიშვნელოვან პიროვნებაზე მათ ცხოვრებაში.

5.2.2. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები და ნარკოტიკები

ყველა რესპონდენტს ცხოვრებაში ერთხელ მაინც ქონია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემა, როდესაც ხანგრძლივად დასჭირდათ სამედიცინო დახმარება. საინტერესოა, რომ ფიზიკური ჯანმრთელობის დაკარგვამ თუ გაუარესებამ, მათ მოტივაცია გაუჩინა, უფრო მეტად დაეწყოთ საკუთარი თავის მოფრთხილება და ჩნდება საკუთარ სხეულზე ზრუნვის ტენდენცია. სხვა სიტყვებით, ჯანმრთელობის შესახებ თხრობასაც მაკომპენსირებელი სტრუქტურა აქვს:

ეს არის ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამოწვევა. როცა ყველანაირ იმედს გიწურავენ და იმის კიდეზე ხარ, რომ ხელი ჩაიქნით. კარგია, რომ ამ გამოწვევას დავუპირისპირდი და არ ჩავიქნე ხელი (ქალი, 35 წ.).

ცოტა უფრო მეტად დავუწყე მოფრთხილება რა ჩემს ორგანიზმს (მამაკაცი, 35 წ.)

ჯანმრთელობის პრობლემასთან ერთად, უკლებლივ ყველა რესპონდენტი საუბრობს ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაზე. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის მათი ნარკოტივის ძირითადი, წამყვანი თემა (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სასჯელს სწორედ ნარკოტიკული ნივთიერებების გამო იხდიდნენ). ნარკოტიკულ ნივთიერებებს ახსენებენ ძირითად თემებზე საუბრისას, როგორც სიტუაციის თანმხლებ მოვლენად და ჩვევად, რომელსაც სძლიეს. ასე რომ, აქაც მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით თხრობასთან გვაქვს საქმე:

13 წლისა ვარ, მოვედი სკოლიდან, მოვიტანე „პლანი“...დაჭკერი, ტაფაზე გამოვაშრე და შევაკეთე.. მეთქი მოვწიოთ. მოგიკვდეს ჩემი თავიო, მითხრა ბებიაჩემმა. დედას ვფიცავარ, ორივე მაგარი დავბოლდით და უკვე დიალოგი ისეთი

შედეგა ჩვენს შორის, რომ დავიხედეთ საათზე. უკვე ღამეა, წარმოიდგინე, ორი ადამიანი მაგარი „დაკურულები“ ვდგავართ და ვსაუბრობთ (მამაკაცი, 44 წ.).

ამ სცენას რესპონდენტი ბავშვობის პერიოდის დადებით მოგონებად ყვება იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად გახსნილი და უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ბებიასთან.

5.2.3. წარსული სპორტული ცხოვრება და „ქუჩაში გასვლა“

კვლევის მონაწილე მამაკაცებისა და ქალების ნახევარი ბავშვობის გამოცდილებიდან სპორტულ წარსულს იხსენებს. მათ სხვადასხვა ასაკში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს სპორტულ სარბიელზე:

გიორგი კანდელაკთან ვვარჯიშობდი. პროფესიონალი მოკრივეები ყავდა ევროპაზე გაყვანილები და წარმოგიდგენია, აქ, საქართველოში რა ვარჯიში იყო. ახალი მისული ვიყავი, პროფესიონალებთან მაყენებდა წყვილებში და მავარჯიშებდა (მამაკაცი, 35).

თუმცა, ადრეული მოზრდილობის პერიოდში ყველა მათგანმა, ახლობლებისა და ოჯახის წევრების დიდი წინააღმდეგობის მუხედევად, საკუთარი გადაწყვეტილებით დაანება თავი:

მერე გავანებეთ თავი. გავედით ქუჩაში. მაშინ ქუჩა ისეთი პოპულარული იყო ქურდულიდან გამომდინარე. თან მაშინ მაგრად ჭრიდა. ჰოდა, მაშინ ავირჩიეთ ეს მე და ჩემმა ძმამ და მოვყევით მერე, ერთი სიტყვით, ამ ქუჩას და ყველაზე მაგრად ეგ მიტყდება, რო არ უნდა ვყოფილიყავი რა. 22 წლამდე ვივარჯიშე. 14 წლიდან მქონდა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა. ეგ კი არა, არავის ჰქონდა ისეთი შედეგები, როგორც მე (მამაკაცი, 35 წ.)

ყოფილი მსჯავრდებულების ცხოვრების ისტორიებში ხშირად მეორდება ქუჩური ცხოვრების თემა. იგივე რესპონდენტი აგრძელებს თხრობას:

მომბეზრდა ეს ყველაფერი რა, ძან ბევრი სიბინძურე დავინახე. აღარც გვერდზე დგომა ქუჩაში.. სხვანაირი უნდა ყოფილიყავი, ხისტი, რო ქუჩაში გეცხოვრა. ვიღაცის გამო, ვიღაცა უნდა დაგეჩაგრა, ვისაც არ ესმოდა და.. ეგ არ მინდოდა რა, ძან კარგად დავინახე ყველაფერი და გავანებე თავი (მამაკაცი, 35 წ.)

ცხადია, რესპონდენტები პირდაპირი მნიშვნელობით ქუჩაში ცხოვრებაზე არ საუბრობენ.

სიახლე იყო ციხე, მაგრამ ციხესთან ყოველთვის მქონდა ურთიერთობა. იქ ძმაკაცები იყვნენ. მიმოსვლა გვქონდა. მაშინ 90-იანების პერიოდში არ იყო პრობლემა, რომ შესულიყავი, პაემანი გაგეკეთებინა ან რაღაც და სპორტით კი ვიყავი დაკავებული, მაგრამ... ქუჩაშიც მომიწია ყოფნა და რაღაცა ვიცოდი, ისე არ შევსულვარ.“ (მამაკაცი, 35 წ.)

თავიდან ოჯახიდან მოგდევს ადამიანს ღირსებაც, პატიოსნებაც, პატივისცემა უფროსის მიმართ, ყოველივე ეს ზრდილობა რაც ადამიანში ჯდება, მერე და მერე ქუჩაში უფრო მეტ გამოცდილებას იღებს ადამიანი. აქ, რა თქმა უნდა, ბევრ ცუდაც ხვდები, მაგრამ მეტ-ნაკლებად უკვე იწყებ გარჩევას კარგის და ცუდის (მამაკაცი, 44 წ.).

თუმცა, ზოგ შემთხვევაში ქუჩაში ცხოვრება პირდაპირი მნიშვნელობით ქუჩაში ყოფნას ნიშნავს:

პირველად გავიქეცი, ქუჩაში გამოვიპარე, ვაგზალზე და აქ გავიცანი 'ციგნის' ბავშვები და წავიდა ჩემი ცხოვრება უფრო უკან... ქუჩაში კარგი ცხოვრებით არავინ ცხოვრობს. ქუჩაში ჯიხურებს ვტეხავდით ბავშვები (ქალი, 35 წ.).

5.2.6. რეინტეგრაციის სირთულეები

პრაქტიკულად ყველა რესპონდენტისთვის რთული გამოდგა სასჯელადსრულების სისტემიდან გათავისუფლების შემდეგ პირველი პერიოდი. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ გაუჭირდა ფიზიკურ გარემოსთან შეგუება და აშინებდათ სტიგმა საზოგადოების მხრიდან:

როცა ხუთი წელიწადი ასეთ პატარა სივრცეში გაატარე, გარეთ რომ გამოდიხარ, ჯერ მარტო სივრცის შიში გაქვს. დადიხარ და რაღაცას ფიქრობ, მთელი დღე სხვა რა უნდა აკეთო და ისე ეჩვევი ამ პატარა მონაკვეთზე სიარულს, რომ მერე რომ გამოდიხარ, უკვე ქუჩაში გინდა წასვლა და რაღაც იმ ნაბიჯებამდე ჩერდები შენ თვითონ და ვაა... აღარა ვარ იქ და აგრძელებ მერე გზას (მამაკაცი, 35 წ.).

მქონდა შემთხვევებიც, რომ ქუჩაში გამოვდიოდი და ვიკარგებოდი, მაგრამ ეგ კიდე არაფერი, როგორღაც მივაგნებდი სახლს, თუმცა მქონდა შემთხვევები, როცა მეგონა, რომ ყველამ იცოდა, ნასამართლელი რომ ვიყავი (ქალი, 34 წ.).

5. რაოდენობრივი კვლევის შედეგების აღწერა და ანალიზი

5.1. აღწერითი სტატისტიკა საკვლევი ცვლადებისთვის

ამ ნაწილში ცალ-ცალკე ბლოკებად არის მოცემული აღწერითი სტატისტიკა სამიზნე ცვლადებისთვის (ავტობიოგრაფიული მსჯელობა, კოჰერენტულობა, პოზიტიური გადაწყვეტა, მოტივები და გენერაციულობა). შემდეგ ნაჩვენებია და გაანალიზებულია ამ ცვლადებს შორის მიმართება და მიღებული შედეგების მთლიანობითი ინტერპრეტაცია.

მონაცემები დამუშავდა IBM. SPSS.22-ითა და IBM. AMOS-ის გამოყენებით.

5.1.1. ავტობიოგრაფიული მსჯელობა

ავტობიოგრაფიული მსჯელობის მიხედვით გადაკოდირებულ 159 ნარატივში სელფსა და მოვლენას შორის კავშირები მხოლოდ მეოთხედში გვხვდება (ცხრილი N1), ხოლო მოვლენა-მოვლენა კავშირები — ნარატივების 53.8%-ში.

რაც შეეხება გამოცდილებისთვის აზრის მინიჭების კომპონენტს, უმრავლეს შემთხვევაში (78.6%) რესპონდენტები არ/ვერ ხსნიდნენ, რა მნიშვნელობა ჰქონდა კონკრეტულ მოვლენას მათ ცხოვრებაში.

ცხრილი N1. ავტობიოგრაფიული მსჯელობის კომპონენტების სიხშირეები 159 ნარატივისთვის (14 ინტერვიუდან).

ცვლადი	%(სიხშირე)
ავტობიოგრაფიული მსჯელობა = M = 1.54 (1.6), [0 — 6]	
სელფ-მოვლენა კავშირები	
არ არის	57.2 (91)
სტაბილობის ნარატივი	24.5 (39)

ცვლილების ნარატივი	18.2 (29)
მოვლენა-მოვლენა კავშირები	
არ არის	47.2 (75)
არის	53.8 (51.8)
საზრისი	
არ არის	78.6 (125)
გაკვეთილი	8.2 (13)
ბუნდოვანი საზრისი	7.5 (12)
ინსაიტი	5.7 (9)

სელფ-მოვლენა კავშირების გამოჩენა ნარატივში დამოკიდებულია მოგონების ტიპზე ($\chi^2(22)=44.922$, $p = .003$), კერძოდ, ცვლილების ნარატივს, უპირატესად, გარდამტეხი მომენტის თხრობისას გვთავაზობენ (14-დან 9) და ნაკლებად -- ნეგატიურ გამოცდილებაში (14-დან 5). ცვლილების ნარატივი პრაქტიკულად არ არის გამოწვევის, ჯანმრთელობის, სიბრძნისა და ბავშვობის დადებით მოგონების შესახებ ამბებში. რაც შეეხება სტაბილობის ნარატივებს, ყველაზე მეტია სიბრძნის შემცველ მოვლენაში (14-დან 6) და დადებით და ნეგატიურ გამოცდილებებში (14-დან 5).

მოვლენა-მოვლენა კავშირების არსებობაც დამოკიდებულია მოყოლილი ამბის ტიპზე ($\chi^2(11)=21.813$, $p = .026$), კერძოდ, პრაქტიკულად არ გვხვდება ბავშვობის დადებით და სინანულის შესახებ მოგონებებში (14-დან 10-ში არ არის) და, ძირითადად, წარმოდგენილია უარყოფითი გამოცდილებისა და გადამწყვეტი მომენტების შესახებ ამბებში (14-დან 12).

საზრისის ძიების კომპონენტი ნარატივში არ არის დამოკიდებული მოგონების ტიპზე ($\chi^2(33)=42.035$, $p = .135$).

5.1.2. კოჰერენტულობა

გადაკოდირებული ნარატივების მხოლოდ მესამედში (32.1%) იყო ექსპლიციტურად ნახსენები კონტექსტი ანუ დაკონკრეტებული იყო როგორც დრო, ისე -- ადგილი (ცხრილი N2).

ნარატივების უმრავლესობაში (43.4%) მოწოდებული იყო მოვლენებისა და მოქმედებების ჩამონათვალი და მინიმალურად ან საერთოდ არ იყო ინფორმაცია მათი დროში დალაგების შესახებ.

რესპონდენტები შეთხვევათა მესამედში (34.6%) უხვევდნენ თემიდან და არ ცდილობდნენ ამბის ძირითადი თემის ნათლად წარმოჩენას.

ცხრილი N2. კოჰერენტულობის კომპონენტების სიხშირეები 159 ნარატივისთვის (14 ინტერვიუდან).

ცვლადი	%(სიხშირე)
ნარატივის კოჰერენტულობა = $M = 3.36$ (3), [0 — 9]	
კონტექსტი	
არ არის	47.8 (76)
დრო ან ადგილი	32.1 (51)
სრულად დრო ან ადგილი	3.8 (6)
სრულად დრო და ადგილი	16.4 (26)
ქრონოლოგია	
არ არის	43.4 (69)
<50%	17.6 (28)

50-75%	8.2 (13)
>75%	30.8 (49)
თემა	
არ არის	34.6 (55)
ნაწილობრივზე ნაკლები	30.2 (48)
ნაწილობრივზე მეტი	15.1 (24)
სრული	20.1 (32)

კონტექსტის თანმიმდევრულობა ნარატივში დამოკიდებული აღმოჩნდა მოგონების ტიპზე ($\chi^2(33)=54.830$, $p = .010$), კერძოდ, კონტექსტი საუკეთესოდ წარმოდგენილია უარყოფითი გამოცდილების შესახებ მოგონებებში (14-დან 7), ხოლო ყველაზე ნაკლებად -- სინანულისა და მარცხის შესახებ მოგონებებში (14-დან 11-10) და ზომიერად -- გამოწვევის, ჯანმრთელობისა და დანაკარგის შესახებ ამბებში (14-დან 8-9).

ქრონოლოგია ($\chi^2(33)=31.669$, $p = .533$) და თემა ($\chi^2(33)=42.279$, $p = .129$), არ არის დამოკიდებული მოგონების ტიპზე.

5.1.3. პოზიტიური გადაწყვეტა

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით თხრობა ნარატივების მეოთხედში დაფიქსირდა (25%) (ცხრილი N3).

პოზიტიური გადაწყვეტა ნარატივში არ არის დამოკიდებული მოგონების ტიპზე ანუ იმაზე, ნეგატიურ გამოცდილებას ყვებიან, გარდამტეხ მომენტს თუ ნებისმიერ სხვას.

ცხრილი N3. პოზიტიური გადაწყვეტის კომპონენტების სიხშირეები 159 ნარატივისთვის (14 ინტერვიუდან).

ცვლადი	%(სიხშირე)
პოზიტიური გადაწყვეტა = $M = 0.4 (0.7)$, [0 — 2]	
A → B	
არ არის	75.(120)
არის	25 (39)
გაუმჯობესებული აგენტობა	
არ არის	90 (143)
არის	10 (16)
გაუმჯობესებული ურთიერთკავშირი	
არ არის	96 (153)
არის	4 (6)
მასშტაბური საფიქრალეები	
არ არის	98 (156)
არის	2 (3)

5.1.4. მოტივები

გადაკოდირებულ ნარატივებში ჭარბობს ინტიმურობისა და ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები (63%). (ცხრილი N4) ხოლო ძალაუფლების მოტივები ნარატივების მხოლოდ მეხუთედში გვხვდება. ამრიგად, რესპონდენტები უფრო ხშირად

ყვებოდნენ სხვა ადამიანებთან სიყვარულის, ინტიმურობის, მეგობრობისა და ერთიანობის შესახებ ამბებს.

ცხრილი N4. მოტივების სიხშირეები 54 მოგონებისთვის (14 ინტერვიუ).

ცვლადი	%(სიხშირე)
არ არის	17 (9)
ძალაუფლების მოტივები	20 (11)
ურთიერთკავშირის მოტივები	63 (34)

ის, თუ რომელი მოტივი იქნება წარმოდგენილი ნარატივში, დამოკიდებულია მოგონების ტიპზე ($\chi^2(6)=13.065$, $p = .042$). კერძოდ, ძალაუფლების ანუ აგენტობის მოტივები, უპირატესად, უარყოფით გამოცდილებაშია წარმოდგენილი, ხოლო ურთიერთკავშირის ანუ ინტიმურობის -- დადებით გამოცდილებაში. თუმცა, საერთო ჯამში, ურთიერთკავშირის მოტივების შემცველი ამბები სამჯერ აღემატება ძალაუფლების შესახებ მოგონებებს.

5.1.5. გენერაციულობა

207 გადაკოდირებული ნარატივიდან თითქმის მეხუთედში გვხვდება გენერაციულობის სამი კომპონენტიდან ერთ-ერთი — შენახვა (18.4%) (ცხრილი N5). შეთავაზება, ფაქტობრივად, არ გამოვლინდა (1.4%), შექმნის კომპონენტი კი ნარატივებში მცირედ არის წარმოდგენილი (16%).

ამათან, შექმნის შესახებ ნარატივი დამოკიდებულია მოგონების ტიპზე ($\chi^2(11)=19.246$, $p = .057$), კერძოდ, მოგონებათა მესამედში (14-დან 5) ეს არის დადებითი გამოცდილება. შექმნაზე ორიენტირება საერთოდ არ არის გადამწყვეტ მომენტებში და პრაქტიკულად არ გვხვდება არც ერთ სხვა ამბავში (14-დან 11-13-ში არ არის). შენახვის ($\chi^2(11)=20.479$, $p = .039$) და შეთავაზების ($\chi^2(11)=11.302$, $p=.418$) კომპონენტი არ არის დამოკიდებული მოგონების ტიპზე.

ცხრილი N5. გენერაციულობის კომპონენტების სიხშირეები 207 ნარატივისთვის (14 ინტერვიუდან).

ცვლადი	%(სიხშირე)
გენერაციულობა = M = 0.33 (0.57), [0 — 3]	
შექმნა	
არ არის	84 (173)
არის	16 (34)
შენახვა	
არ არის	81.6 (169)
არის	18.4 (38)
შეთავაზება	
არ არის	98.5 (204)
არის	1.4 (3)

5.2. მიმართებები საკვლევ ცვლადებს შორის

რაოდენობრივი ნაწილის შედეგები წარმოდგენილია ჰიპოთეზებთან მიმართებაში.

5.2.1. ჰიპოთეზა 1: ავტობიოგრაფიული მსჯელობა ან მისი რომელიმე კომპონენტი დადებითად უკავშირდება ნარატივის კოჰერენტულობას ან მის რომელიმე კომპონენტს

გამოვლინდა ზომიერი დადებითი კავშირი ავტობიოგრაფიულ მსჯელობასა და ნარატივის კოჰერენტულობას ($r = .389$, $N=159$, $p < .001$) შორის. ამრიგად, დადასტურდა კვლევის პირველი ჰიპოთეზა. ავტობიოგრაფიული მსჯელობის შემცველი ნარატივები მეტად კოჰერენტულია. გაანალიზდა თითოეული ამ ცვლადის ცალკეულ კომპონენტებს შორის კავშირები. ძლიერი სანდო დადებითი კავშირი გამოვლინდა მოვლენა-მოვლენა კავშირებსა და ნარატივში წარმოდგენილი თემის სიცხადეს შორის ($r = .444$, $N=159$, $p < .001$), რაც ძალიან ლოგიკურია. რესპონდენტები მოვლენებს აკავშირებენ ერთმანეთთან და ერთიან, ინტეგრირებულ ამბად ყვებიან.

5.2.2. ჰიპოთეზა 2: გენერაციულობა დადებითად უკავშირდება ავტობიოგრაფიულ მსჯელობას ან მის რომელიმე კომპონენტს; ამასთან, ეს კავშირი გაშუალებული უნდა იყოს ნარატივის ზრდაზე ორიენტირებული თხრობით ანუ პოზიტიური გადაწყვეტით.

ზომიერი დადებითი კავშირი გამოვლინდა გენერაციულობასა და ავტობიოგრაფიულ მსჯელობას ($r = .223$, $N=159$, $p < .001$) შორის. შესაბამისად, დადასტურდა კვლევის მეორე ჰიპოთეზის პირველი ნაწილი. სხვა სიტყვებით, რაც უფრო მეტად არის გამოკვეთილი ავტობიოგრაფიული მსჯელობა ნარატივში, მით მეტად გენერაციულია მთხრობელი, თუმცა ეს კავშირი არ არის გაშუალებული ზრდაზე ორიენტირებული თხრობით ანუ პოზიტიური გადაწყვეტით.

5.2.3. ჰიპოთეზა 3: გენერაციულობა დადებითად უკავშირდება ნარატივის კოჰერენტულობას ან მის რომელიმე კომპონენტს; ამასთან, ეს კავშირი გაშუალებული უნდა იყოს ნარატივის ზრდაზე ორიენტირებული თხრობით ანუ პოზიტიური გადაწყვეტით

ზომიერი დადებითი კავშირი გამოვლინდა გენერაციულობისა და ნარატივის კოჰერენტულობას ($r = .233$, $N=159$, $p < .001$) შორის. ასევე, ზომიერად დადებითი კავშირია გენერაციულობასა და კოჰერენტულობის კომპონენტს, ქრონოლოგიას შორის ($r = .239$, $N=159$, $p < .001$), რაც, ასევე, მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ნარატივის ქრონოლოგია აჩვენებს, რომ პიროვნული ისტორია მიყვება მიზანმიმართული ქმედებების დროის ხაზს და ნარატივი ინტეგრირებულია უფრო ფართო ცხოვრებისეულ თემებსა და საზრისებში. ეს კი, თავისთავად, კავშირშია გენერაციულობასთან. ამრიგად, დადასტურდა მესამე ჰიპოთეზის პირველი ნაწილი, თუმცა ეს კავშირი არ არის გაშუალებული ზრდაზე ორიენტირებული თხრობით ანუ პოზიტიური გადაწყვეტით.

5.2.4. ჰიპოთეზა 4: ზრდაზე ორიენტირებულ ნარატივებში უფრო მეტად არის წარმოდგენილი ახალი მნიშვნელობის შექმნის კომპონენტი

ზომიერი დადებითი კავშირი გამოვლინდა ავტობიოგრაფიული მსჯელობის ერთ-ერთ კომპონენტს – ახალი მნიშვნელობის შექმნასა და მაკომპენსირებელ თანმიმდევრობას შორის ($r = .387$, $N=159$, $p < .001$). ამრიგად, წარსული მოვლენების რეფლექსიური გადამუშავება დადებით პოზიტიურ კავშირშია მაკომპენსირებელი სტრუქტურით ნარატივის აგებასთან. შესაბამისად, დადასტურდა მეოთხე ჰიპოთეზაც.

5.2.5. ჰიპოთეზა 5: მოტივაციური თემებიდან ნარატივებში მეტად იქნება წარმოდგენილი ურთიერთკავშირის მოტივი, ვიდრე ძალაუფლების

ცვლადების სიხშირეების ანალიზმა აჩვენა, რომ ნარატივების უმრავლესობაში (63%) ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები გამოვლინდა. ამრიგად, აღნიშნული ჰიპოთეზაც დადასტურდა. სხვა სიტყვებით, რესპონდენტები სხვა ადამიანებზე და მათთან ახლო ურთიერთობის დამყარების შესახებ ამბების თხრობისკენ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი, ვიდრე ძალაუფლების მოპოვების შესახებ მოგონებების.

5.3. გენერაციულობის პრედიქტორები

ინდივიდის მიერ მოთხრობილ ნარატივში ავტობიოგრაფიული მსჯელობის, ნარატივის კოჰერენტულობისა და მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის (პოზიტიური გადაწყვეტის ანუ ზრდაზე ორიენტირებული ნარატივის) და ნარატივში გამოკვეთილ გენერაციულ ინტენციებს/ქმედებებს შორის ურთიერთმიმართების დასადგენად განხორციელებულმა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ გენერაციულობის მაჩვენებელს განასხვავებს როგორც ცალკე აღებული ავტობიოგრაფიული მსჯელობა ($F(1)=8.186, p =.005$), ნარატივის კოჰერენტულობა ($F(1)=6.310, p =.002$) და მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა ($F(3)=4.963, p=.003$), ისე — მათი ურთიერთქმედება ($F(6)=84.594, p =.000$). შესაბამისად, ისინი სანდოდ წინასწარმეტყველებენ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დალაგებული ნარატივების გამოჩენას ორივე ჯგუფში და ხსნის ვარიაციის 30%-ს (ცხრილი N6.6).

ცხრილი N6.6. ავტობიოგრაფიული მსჯელობა, კოჰერენტულობა და მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა, როგორც გენერაციულობის პრედიქტორები (N=159).

	B	SE B	β
ნაბიჯი 1			
კონსტანტა	.177	.053	
ავტობ. მსჯელობა	..069	.024	.223
ნაბიჯი 2			
კონსტანტა	.115	.061	
ავტობ. მსჯელობა	.048	.026	.156
კოჰერენტულობა	.018	.014	.173
ნაბიჯი 3			
კონსტანტა	.115	.060	
ავტობ. მსჯელობა	.032	.028	.105
კოჰერენტულობა	.025	.014	.154
პოზიტ. გადაწყვ.	/084	.057	.128

შენიშვნა: Note: $R^2 = .050$ ნაბიჯი 1, $\Delta R^2 = .025$ ნაბიჯი 2, $\Delta R^2 = .013$ ნაბიჯი 3 ($p < .001$)

6. მიღებული შედეგების მთლიანობითი ინტერპრეტაცია

ავტობიოგრაფიულ მსჯელობასა და კოჰერენტულობას შორის ნავარაუდები კავშირი რაოდენობრივი ანალიზითაც დადასტურდა და თვისებრივითაც.

ნარატივებში უფრო ხშირად გვხვდებოდა ავტობიოგრაფიული მსჯელობის ერთი კომპონენტი: მოვლენა-მოვლენა კავშირები. როგორც ჩანს, კვლევის მონაწილეები მათ ცხოვრებაში მომხდარ ამბებს შორის კავშირებს უკეთესად ხედავენ და ნაკლებად უკავშირებენ მომხდარს საკუთარ პიროვნებას; სხვა სიტყვებით, ნაკლებად ამყარებენ და ხედავენ სელფ-მოვლენა კავშირებს. ამ კავშირის დადასტურების შემდეგ, ლოგიკური იყო გვევარაუდა, ძლიერი დადებითი კავშირი მოვლენა-მოვლენა კავშირებსა და კოჰერენტულობის ერთ-ერთ კომპონენტს — ქრონოლოგიას შორის და ეს ვარაუდიც გამართლდა.

რესპონდენტების უმრავლესობა ვერ ან არ ხსნის, რა მნიშვნელობა ჰქონდა კონკრეტულ მოთხრობილ ამბავს მათ ცხოვრებაში, თუმცა იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც მნიშვნელობა/აზრი მიანიჭეს წარსულ ამბებს, უფრო მეტი ამბავი დააღაგეს მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით ანუ მათ ამბებში უფრო ხშირად ვისმენდით პოზიტიური ცვლილებებისკენ სვლის შესახებ. თემატურმა ანალიზმა კი აჩვენა, რომ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე ნარატივებში ჩნდება გენერაციული თხრობის ტენდენციები.

კოჰერენტულობის ყველაზე გამოკვეთილი კომპონენტი ნარატივებში ქრონოლოგია იყო. მაკადამსის მიხედვით (1993, 2001, 2006), მოზრდილი ადამიანის ცხოვრებაში იდენტობის მოწიფულობის შეგრძნებას კოჰერენტული ცხოვრების ისტორია უზრუნველყოფს, რომელშიც ინტეგრირებულია წარსული, აწმყო და მომავალი და რომელიც ადამიანის ცხოვრებას საზრისითა და მიზნით ავსებს. ამიტომ მოსალოდნელი იყო ზომიერი დადებითი კავშირის ნახვა კოჰერენტულობასა და გენერაციულობას შორის.

ნარატივში მოტივაციურ ხაზებსა და სხვა ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება სუსტია გარდა ერთი შემთხვევისა. მოტივაციები ძლიერ დადებით კავშირშია გენერაციულობის კომპონენტებთან: შენახვასა და შექმნასთან. რაც ძალიან ლოგიკურია. როგორც აღწერთმა სტატისტიკამ გვაჩვენა, ნარატივებში ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები გამოვლინდა. ურთიერთკავშირი კი, თავისთავად, სხვებზე მზრუნველობას მოიაზრებს. ნარატივებში ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები გენერაციულობის შენახვისა და შექმნის კომპონენტებს ებმის.

რომ შევაჯამოთ, ნარატივში მოვლენა-მოვლენა კავშირებისა და ქრონოლოგიის არსებობა, მიუთითებს მაკომპენსირებელ თანმიმდევრობაზე, რაც თავის მხრივ, გენერაციულობის მიმანიშნებელია, ხოლო ნარატივში ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები შექმნისა და შენახვის თემებთანაა კავშირში. ამასთან, წარსულის მნიშვნელოვან გამოცდილებების შესახებ ავტობიოგრაფიული მსჯელობის ხარისხი, ამ მსჯელობის თანმიმდევრულობა და ამბის შინაარსის პოზიტიურ გადაწყვეტაზე ორიენტირებულობა სანდოდ წინასწარმეტყველებს ცხოვრების ისტორიებში გენერაციული სკრიპტის სახით წარმოდგენილი შენახვის, შეთავაზებისა თუ შექმნის ინტენციებსა და/ან ქცევებს. სხვა სიტყვებით, თუ ყოფილი მსჯავრდებულები ამა თუ იმ ხარისხით ახდენენ რეფლექსიას წარსულზე — ამყარებენ კავშირებს წარსულ მოვლენებსა და საკუთარ მე-ს, განცდილ მოვლენებს შორის და მათში აზრის დანახვასაც ახერხებენ და ამას დროის, კონტექსტისა და თემის თვალსაზრისით თანმიმდევრულად

დალაგებული, ზრდაზე ორიენტირებული თხრობის პირობებში აკეთებენ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი ნარატიული იდენტობის ანუ ცხოვრების ისტორიის განუყოფელი ნაწილი იქნება გენერაციული ინტენცია ან ქმედება შენახვის, შეთავაზების ან შექმნის სახით გამოხატული, რაც წინამდებარე კვლევის ფარგლებში რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის ინდიკატორად არის გამოყენებული.

ამრიგად, წინამდებარე კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ავტობიოგრაფიული მსჯელობის საშუალებით კოჰერენტული ისტორიის კონსტრუირებამ წარსული შეცდომები გენერაციულ თხრობად შეიძლება აქციოს.

7. დასკვნა

მოცემული კვლევის მიზანი იყო გვეჩვენა, როგორ ახერხებენ სასჯელადსრულების სისტემიდან გამოსული ადამიანები ინტეგრირებული იდენტობის ფორმირებასა და ახალი მნიშვნელობის შექმნას. რესპონდენტები მოვლენებს აკავშირებენ ერთმანეთთან და ერთიან, ინტეგრირებულ ამბად ყვებიან. ავტობიოგრაფიული მსჯელობის მექანიზმები ნარატივებში მეტად არის წარმოდგენილი გენერაციული თხრობა. ქრონოლოგიურად უკეთ დალაგებული ამბები მოიცავენ გენერაციულ თემებს. ნარატივების უმრავლესობაში გამოვლინდა ურთიერთკავშირისა და ინტიმურობის მოტივაციური თემები. წარსული მოვლენების რეფლექსიური გადამუშავება მეტყველებს ნარატივის მაკომპენსირებელი სტრუქტურით აგებაზე. გენერაციული ინტენციები ანდა ქმედებები სანდოდ შეიძლება იქნეს ნაწინასწარმეტყველები როგორც ცალკე, ნარატივში გამოკვეთილი ავტობიოგრაფიული მსჯელობით, ნარატივის კოჰერენტულობითა და ზრდაზე ორიენტირებული სტრუქტურით, ისე — მათი ურთიერთქმედებით, თუმცა კავშირი ერთი მხრივ, გენერაციულობას და, მეორე მხრივ, (ა) ავტობიოგრაფიულ მსჯელობას ან (ბ) ნარატივის კოჰერენტულობას შორის არ არის გაშუალებული ნარატივის ზრდაზე ორიენტირებული თხრობით ანუ ამბის პოზიტიური გადაწყვეტით.

მადლობა

მოცემული კვლევა პირველი ავტორის პირველი სერიოზული ნამუშევარია, რომელიც მან სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განახორციელა. მადლობის ნაწილიც, შესაბამისად, ექსკლუზიურად მას ეკუთვნის.

დიდი მადლობა ორგანიზაცია „ჰეპა პლიუს“, რომლის დახმარებითაც დავეუკავშირდი კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას და მომეცა საშუალება მეიმუშავა მათთან კომფორტულ გარემოში.

დიდი მადლობა მაია ხოსიტაშვილს იმ დიდი მხარდაჭერისთვის, რომლის დახმარებითაც შეძლო რესურსების მობილიზება, კვლევის ასისტენტებს ნინო ჩალაძეს, გვანცა შონიასა და ნუცა კუპრავას მუდმივი მზაობისთვის, გამოენახათ დრო და ემუშავათ ტრანსკრიპტებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგიჩაიშვილი, მ., ხეჩუაშვილი, ლ. და მესტვირიშვილი, მ. (2016). სტიგმა, სექსუალური იდენტობა და ცხოვრების ისტორია. *GESJ: Education Sciences and Psychology*, No.4(41), p.111

ხეჩუაშვილი, ლ.(2016c). პერსონალური ნარატივების მაკომპენსირებელი სტრუქტურისა და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება(2008 წლის ომის შემდეგ იძულებით ადგილნაცვალ პირთა მაგალითზე). *GESJ: Education sciences and*

psychology. No 3(40), pp.69-97 (მოდებულა 10.07.2016, <http://gesj.internetacademy.org.ge/download.php?i d=2768.pdf>).

- ხეზუაშვილი, ლ. (2016d). მასტერ ნარატივის ინტეგრაციული თეორიული ჩარჩო: ქართული ილუსტრაცია. *GESJ: Education sciences and psychology*. No 3(40), pp.122-152 (მოდებულა 10.07.2016, <http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?i d=2777.pdf>).
- Peter Heath and J.B. Schneewind, 2001. *Lectures on Ethics*, Cambridge University Press, 1997. p. 51.
- Lilgendahl, J .P. and McAdams, D. P. (2011). Constructing Stories of Self-Growth: How Individual Differences in Patterns of Autobiographical Reasoning Relate to Well-Being in Midlife. *Journal of Personality*, 79:2, DOI: 10.1111/j.1467-6494.2010.00688.x
- Maruna, S. (2001). *Making good: How ex-convicts reform and rebuild their lives*. Washington, DC: American Psychological Association
- McAdams, D. P. (2001). The psychology of life stories. *Review of general psychology*, Vol.5. No.2.
- McAdams, D. P. (2006). The redemptive self: generativity and the stories Americans live by. *Research in human development*, 3(2&3).
- McAdams, D. P. (2009). *The Person: An Introduction to the Science of Personality Psychology*, 5th ed. USA: John Wiley & Sons, Inc.
- McAdams, D. P., & McLean, K. C. (2013) Narrative identity. *Assotiation for psychological scence*, Vol.22. No.3.
- McAdams, D. P., & Guo, J. (2015). Narrating the generative life. *Psychological Science*, 26, 475-483.
- McLean, K. C., Pasupathi, M., & Pals. J. L. (2007). Selves creating stories creating selves: A process model of narrative self development in adolescence and adulthood. *Personality and Social Psychology Review*, 11,
- Pals, J. L., & McAdams, D. P. (2004). The transformed Self: A narrative understanding of Posttraumatic growth. *Psychological Inquiry*.

Article received 2018-01-08